вать, что Авилова была профессиональ-

ной писательницей, чем и можно
объяснить ее творческую художе-
ственную фантазию.

К числу источников, которые могут
быть Вам полезны, причем источник
наиболее важный, нужно указать Вам
на полное собрание писем Антона
Павловича, изданных в последнем
издании собрании сочинений Чехова
(Гослитиздат 1944 — 1950 гг.). В то-
мах XIII и XX Вы найдете все письма
Антона Павловича, известные в лите-
ратуре, написанные им в течение всей
его жизни. Они раскроют Вам мораль-
ный облик писателя, его идеи и чая-
ния, его творческую жизнь, его отноше-
ние со всеми выдающимися деятелями
русской культуры того времени и т. д.

Вот то главное, на что можно Вам
указать и что совершенно необходимо
для Вашей работы.

Желаю Вам успеха в работе и бла-
гополучного завершения.

1 მოგვყავს ამ წერილის რუსული დიდანი.


«Уважаемый Семен Самсонович!»
Я получила Ваше письмо. Мне трудно
вам когда-нибудь помочь. Вам или посо-
ветовать, что-нибудь — драматургия
совершенно особая отрасль литературного
творчества. Если Вы драматург и
специалист в этой области. Ваш труд
может оказаться успешным. До сего
времени все пьесы об Антоне Павло-
виче, которые мне приходилось читать,
были неудовлетворительны во всех от-
ношениях. Задача, которую Вы взяли
на себя, откровенно скажу, не из лег-
ких. Какие указать вам источники? В
первую очередь книга В. Ермилова
(А. П. Чехов). В этой книге жизнь в
творчестве Антона Павловича раскры-
ты наиболее правдиво и всесторонне,
показана социально-политическая об-
становка, в условиях которой жил и
творил свои произведения Антон Па-
влович, дана характеристика творчества





უ. ჯაფარიძე

ქალის პორტრეტი



8

კ. შოინიშვილი

წვიმიან დღეს

ბიოგრაფიული მთავრის მთავრი

დავით გამეზარდაშვილი

ფილოლოგიური მეცნიერებათა დოქტორი



ვენი ხალხის კულტურის ისტორიაში უდიდესი მნიშვნელობის მოვლენაა, ქართული პროფინული მთავრის დაარსება გასული საუკუნის პირველი ნახევრის დასასრულს.

ამ დიდი ეროვნული საქმის მოთავეების დიდი ხნის ოცნება სინამდვილედ აქცია გ. ერისთავმა, რომელმაც 1850 წლის 2 (14) იანვარს თბილისის გიმნაზიის დარბაზში საჯაროდ წარმოადგინა თავისი კომედია „გაყარა“.

„გაყარის“ პირველი წარმოდგენით საფუძველი ჩაეყარა ქართულ პროფინული მთავრის, რომელმაც იმავე დღე მხარტი რეალისტურ პრიციპებზე დაიწყო აღორძინება. მთავრის სული და გული გ. ერისთავი იყო—ამ მთავრის დირექტორი, რეჟისორი, დრამატურგი და პირველი მსახიობი.

მეტად საინტერესო და შინაარსიანი გზა განვლო პროფინულმა ქართულმა მთავრმა გ. ერისთავის ხელმძღვანელობით, მაგრამ მისი ქვეშევრდები სურათის აღდგენისათვის საჭიროა მოკლედ მივხვიოთ, თუ რა მთავრული ტრადიციები მოჰყოლებოდა ჩვენს ხალხს იმ დროისათვის.

* * *

მთავრული ტრადიციები ხელფენებთან დაკავშირებული მრავალი ტრინი, რომელიც ჩვენ ძველ ისტორიულ და ლიტერატურულ ძეგლებს შემოუნახავთ, თითქოს სადავოდ არ ხდის, რომ უძველეს დროში არსებობდა ე. წ. წარმართული მთავრი, მაგრამ ქრისტიანულ საქართველოში მთავრული მთავრის არსებობა მეთრიატეტიკ საუკუნის მინ-ან წლებამდე არ დასტურდება. როგორც ცნობილია, ქრისტიანობა უარყოფითად მიზედა მთავრის და განდევნა იგი საერო ცხოვრებიდან. მაგრამ გადის დრო და შუასაუკუნეობრივი დოგმატიზმი უძველური ხნებმა ბოლომდე დატყვევებული იყოლის მთავრის აღორძინების აზრი.

უძველესი წერილობითი წყაროების, ხალხური ზეპირსიტყვიერებისა და ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით ირკვევა ისიც, რომ ქართულებს ძველთაგანვე ჰქონდათ მრავალი კანონი და სანაზობა, რომელიც მთავრის მავრებისას ასარულებდა. მართალია, ბევრი მათგანი საგნისატიკო — აკონატიკული ხასიათის სანაზობას წარმოადგენდა, მაგრამ ბევრსაც მთავრული დრამატრინი ახასიათებდა. თუქცა მთავრული ხელოვნების აღორძინების საქმეში ამ უკანასკნელთა როლის გაზივიანება, ვფიქრობ, უსაფუძვლო იქნებოდა. მათი როლი ამ შემთხვევაში, იმით ამოიწურება, რომ ხალხში ზრდიდა ინტერესი გასართობ და საჯარო სანაზობაში მიმართ. სხვაგვარად წარმოუდგენელი არის, იენაიდან მთავრული საუკუნის თიხნობადათაიანი წლებისათვის, როცა ყუიქცა მთავრული წარმოდგენების გაშართვა, ჩიონ უწყვეტად იქნებოდა მთავრული ხელოვნების მონდვრედი ამანაგები, რომელიც კარად იცნობდნენ ევროპულ და რუსულ მთავრის. ბიარი მათგანი (ვახუშტი, დავით, იოანე, ვარნაოზ ბატონიშვილი, გ. ავალიშვილი, დ. ჩილოყაშვილი და სხვ.) საფუძვლიანად მსჯელობდა დრამატურტიკისა და მთავრის თეორიის საკითხზეც; ისიც აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი ქართველი ამ დროისათვის რუსული მთავრის გამოჩინილი მოღვაწე იყო.

მთავრისადმი ინტერესს ახალგაზრდობაში იმ დროს უდავოდ აღვიძებდა ე. წ. სასკოლო დრამებიც, რომელთა

წარმოდგენა თელავისა და თბილისის სემინარიებში საბმელო სამბეობით დასტურდება.

სასკოლო დრამების წარმოდგენას მოჰყოლია კომედიებიც. ალ. ორბელიანის ცნობით, „თელავში და თბილისში ქართულ კომედიებსაც თამაშობდნენ მეფის ირავლის დროში, რომლისცა გამამართველი იყო გაბრიელ მაიორი“¹.

გაბრიელ მაიორის მიერ გამართული წარმოდგენები ოფიციალურ ხასიათს ატარებდნენ. ამას მოწმობს სავანგებოდ დაბეჭდილი ბილეთები, რომლებზეც გარკვეულ ფასიცა აღნიშნულია. ამ ბილეთების შესახებ ნ. ბერიძის მიერ წერად თავის დროზე გაზეთ „კავკაზში“ (1858 წ. № 86) ისიც აშუარა, რომ ეს წარმოდგენები არ განასახიერებდნენ სასკოლო დრამებს თუ მისტიკურს, ისინი საერო და მამხილებელი შინაარსისა უნდა ყოფილიყვნენ.

კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ამავე პერიოდში სასკოლოდ ყურება ცხდინისმოყარობა ნამოკლე მთავრის, რომლის სულსინამდგმელი იყენებ ერკველ მეფის მიერ რუსეთში სწავლის მისაღებად წარგზავნილი და შემდეგ სამშობლოში დაბრუნებული ქართველი მოღვაწეები.

პირველი ორიგინალური კომედია, რომელიც წარმოუღვენიათ კიდევ, დაუწერია გ. ავალიშვილს. კომედია ყოფილა ორმოქმედებიანი და სათურად ჰქონია „მეფე თეიმურაზი“².

ზ. ჭიჭინაძის ცნობით, ორიგინალური ბიესილა ჰქონია დ. ბატონიშვილსაც. „იძახიან. — წერს ზ. ჭიჭინაძე, — რომ დავითს თავის პაპის ცხოვრებიდან დაუწერია ერთი რალაც ისტორიული ტრადიციის, ეს ტრადიცია 1790 წელამდე პახეთში ყოფილა დატული, და როცა ოთარ ქიქოშვილის ბიესლითიკა დაუწვევთ ლეკებს, ესეც მაშინ დაარჯულაო“³. სამაგიეროდ, ჩვენამდე მოაღწია რამდენიმე გადმოკეთებულმა და თარგმნილმა ბიესამ, რომელიც მე-18 საუკუნის მინ-ან წლებში წარმოუდგენიათ. ასეთებია, მაგალითად, დ. ჩილოყაშვილის მიერ გადმოკეთებული რასილია — „იევიანა“, გ. ავალიშვილის მიერ ნათარგმნი სუპაროკის კომედიები („სახუზარი“, „დღა რაჟივი ქალია“, „რქისმატარებელი“, „უზნობა მკედართა“) და სხვ.

ეს კომედიები რომ წარმოუდგენიათ, ამაში ეჭვის შექცა შეუძლებელია. ზ. ჭიჭინაძე ასახელებს შემსრულებელთა ვეარხებსაც, რაც მის ერთ-ერთი ბიესის მოქმედ პირობა სიაში ამოუკითხავს. „წარმოდგენებში. — წერს იგი, — მიუღიათ მონაწილეობა შემდეგ პირობა: დავით ბატონიშვილი, ჩილოყაშვილი, თამარ ანდრონიკაშვილი, გიორგი მეფის და ირაკლი ბატონიშვილის ქალბავ და ავალიშვილი. ეს ვეარხი მე ამოვიკითხე ერთ ზემოხსენებულ ბიესის მოქმედ პირობა სიაში“⁴.

გ. ავალიშვილს კარგად ჰქონდა გათალისწინებული მთავრის მნიშვნელობა და კიდობობა გამოეყენებინა იგი ცხოვრების მახინჯი მხარეების წინააღმდეგ ბრძოლაში.

გ. ავალიშვილს, როგორც აღვნიშნეთ, მთავრული საქმიანობაში მხარს უშუქვენება დავით ჯიმშინის ძე ჩი-

¹ ალ. ორბელიანი, ნაწერ... 1879 წ. გვ. 127-128.
² ზ. ჭიჭინაძე, მოკლე ისტორია ქართული მთავრისა, 1906 წ. გვ. 8.
³ ზ. ჭიჭინაძე, მოკლე ისტორია ქართული მთავრისა, გვ. 1.



ლოყაშვილი, — სამეფო მდივანზე" და „დიდად ნიჭე-
ბული კაცი სიტყვითა და მწერლობითა“.

სასურველია ის ფაქტიც, რომ დ. ჩოლოყაშვილი,
ისევე როგორც დ. ბატონიშვილი, ვოლტერისიანი იყო.

წარმოდგენები, რომლებიც სასახლის „პალატაში“ და
მესხიშვილების, მედიკამენტოზებისა და ორბელიანთა ბი-
ნებზე იმართებოდა ხოლმე, ჩანს, ბევრ მაყურებელს იზი-
დავდა. ერთი სიტყვით, თეატრალური საქმიანობის განვი-
თარებას საქართველოში მაშინ მეტად კარგი პირო უჩანს,
ეკრანს, როგორც ბევრი სხვა დამოუწყებელი, ალა მამხად-ხანის
გაგანაგებას თავდასხმამ და უფრო მოვლესაც ბოლო მოუ-
ლო: კრწანისის ომმა იმსხვერპლა თეატრალური ძალები.

აქვე გვინდა შევინიშნოთ, რომ მეორეამეტე საუკუნის მეო-
რე ნახევარში ბევრმა ქართველმა თავისი წვლილი შეიტანა
რუსული თეატრალური ხელოვნების განვითარების საქმე-
ში. ამ მხრივ, პირველყოფისა, თავი გამოიჩინეს სილა და
ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე ზანდუკელიძე, ალექსი დავით-
ის ძე ფანჩელიძე, ხერხეულიძე, გრუზინსკი და სხვებ-
მა, რომელთა დამახასიათებელი შესახებ რუსული თეატრის
ისტორიკოსები საგანგებოდ მსჯელობენ⁷.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ მათგანს ნაყნო-
ბადა ჰქონია იმ ქართველ მოღვაწეებთან, და სათანადო
გაგანაგება მოუღებინა მათზე, რომლებმაც თეატრალური
საქმის ინიციატორობა იკისრეს საქართველოში მეორეამე-
ტე საუკუნის 90-იან წლებში.

კრწანისის ომის რამდენიმე წლის შემდეგ საქართვე-
ლოში კვლავ იწყება თეატრალური წარმოდგენების გა-
მართვა. მაგრამ ეს წარმოდგენები რუსულ ენაზე იმართ-
ებოდა, და მასში მონაწილეობენ ქართველებიც. 1803 წლის
10 თებერვალს დაწერილი ერთ თავის მოხსენებაში
პ. ი. კოვალენსკი ამბობს: „თბილისში თეატრის დაარსებას
საფუძველი ჩაეყარა ჩემი წინადადებით, მუსინ-პუშკინის,
სამხედრო გენერალტიტთან, რუს მოხელეებთან, სამეფო
კარის წევრებთან და აქაური თავადანაპირების ზოგიერთ
საბატოე წევრებთან, ჩვენი საერთო შეთანხმებით და თა-
ნამშრომლობით“⁸.

როგორც მისივე სიტყვებიდან ჩანს, შინაური წარმო-
დგენების გამართვაში მონაწილეობდნენ ისეთები, რომელ-
თაგანაც უმეტესობა ამ საქმეში გაწვრილნი იყო“.

შინაური წარმოდგენების გამართვა განსაკუთრებით
ხშირ მოვლენად იქცა ერმოლოვის მთავარმართებლობის
დროს. 30-იანი წლებისათვის, ამ მხრივ, უკვე სახელი მიი-
ხვეჭა პ. ი. ბაგრატიონისა და მ. ორბელიანის სალონებმა.
სხვა პიესებთან ერთად, ამ პერიოდში წარმოადგინეს გრი-
ბოლოვის „ვაი ჭკუისაგან“, მონაწილეობა მიიღეს სოფი
და მარია ორბელიანებმა, რომან საგანაგებობა და სხვებ-
მა. განსაკუთრებული წარმატება ხვდებოდა პ. ბაგრატიონის
სკოლოზების როლში, რის შესახებ სიამოვნებით წერს
ჟურნალ „სალტერატურონი ნაწილის...“ რეცენზენტი⁹.

რუსული წარმოდგენების პარალელურად, 30-იან
წლებში, წარმოდგენები მზადდებოდა ქართულ ენაზეც.
მიმდინარეობდა რეპეტორიაც. ორბელიანის მიერ სა-
განებოდ თარგმნილი კარატიგინის „ნაცნობი უცნობე-
რისა“ და უცნობი ავტორის „რკინის მასის“ წარმოსადგე-
ნად, ამ საქმეში აქტიურ მონაწილეობას აღებულიანდნენ:
გ. ორბელიანი, გ. ერისთავი, დ. ყიფიანი, ალ. ორბელიანი,

ზ. ავათილაშვილი, ი. მურხანსკი, ნ. ტყეპაძე, ს. სოფი-
და მარია ორბელიანები და სხვ. მაგრამ ნიჭიერმა სცენის-
მოყვარულებმა საქმე ბოლომდე მიიყვანეს. მათ
ჯერ საქტეკლისათვის 1832 წლის თანხის შოვნა გაუძნელ-
დათ, ხოლო შემდეგ 1832 წლის შეიქმმულენის მონაწი-
ლეობა დაპატიმრებას საბოლოოდ ჩაუშალათ გეგმა. სამა-
გიეროდ სახელი მოიხვეჭა თბილისის კეთილშობილთა სას-
წაღმებლოში უკვე ტრადიციად ქცეულთა ე. წ. „საჯარო
აქტების“ წარმოდგენამ¹⁰.

30-იან წლებში თეატრალური საქმიანობის გაშლის-
თვის განსაკუთრებულ აქტივობას იჩენდა ახალგაზრდა
გ. ერისთავი, რომელიც არა მარტო თარგმნიდა სცენის
პიესებს¹¹, არამედ ცდილობდა შეეჭმა ორიგინალური პიე-
საც, როგორც ი. მუხრანკია გადმოგვცემს. გ. ერისთავი
ამის გამო გაუცქვინათ გრიბოლოვისათვისაც, რომელ-
საც ახალგაზრდა დრამატურგი წაუხალისებია.

40-იან წლებში კვლავ გამოცოცხლდა თბილისის ცნო-
ბილი სალონიც, სადაც თავს იყრიდნენ ნიჭიერი ახალ-
გაზრდები და გამოჩინებულ მოღვაწეები, რომლებიც მსჯე-
ლობდნენ და ფიქრობდნენ სხვადასხვა კულტურულ ღო-
ნისძიებებზე. აქ გაიღვიძა თეატრის შექმნის უზრმავე. შემ-
თხვედით არაა, რომ ამ დროს ცხოველდება პიესების თარ-
გმნისადმი ინტერესი, და ამ საქმეს დიდი სიყვარულით
კიდებენ ხელს ალ. ტყეპაძე, ნ. ბარათაშვილი, დ. ყიფიანი
და სხვები.

შინაური წარმოდგენების გამართვით გატაცებულნი
იყვნენ არა მარტო თბილისის, სხვაგანაც. კერძოდ, ასეთი
წარმოდგენები გაუმართავთ ვორსა და საჩხერეში.

ერთი სიტყვით, ქართული თეატრის დასაარსებლად
ნინადაც სრულიად მონაზღებული იყო. საჭირო იყო მხო-
ლოდ შესაფერი პოლიტიკური სიტუაცია, რომელსაც მო-
უთმენლად ელოდნენ ქართველი მოღვაწეები. ასეთი დრო
კი კავკასიაში მეფისნაცვლის თანამდებობაზე ვირონიცო-
ვი დაწინის შემდეგ დადგა, ვირონიცოვის ხელშეწყობით
თბილისში 1845 წელს მუშაობას იწყებს რუსული თეატ-
რი. ამ დაბრუნებამ კიდევ უფრო აჩაღული გახადა ქარ-
თული თეატრის დაარსების საქმეც, იმას უნდა დაეფუძნა
ისიც, რომ მეფისნაცვალ არ ერიდებოდა რიგ დათმობებს.
ოლოდ ქართველი არისტოკრატების გული მოეგო. ეს შეუმ-
ჩინველი არ დაარჩენია ჩვენს მოღვაწეებსაც და მანათა ორ-
ბელიანის საშუალებით მათ ვირონიცოვის მიმართეს სიტყ-
ვიერი თხოვნით ქართული თეატრის დაარსების შესახებ
და თეატრის ხელმძღვანელის შესაფერი კანდიდატურაც
წარადგინეს გ. ერისთავის სახით. შეიძლება ითქვას, რომ
ეს იყო ქართული ინტელექციის პირველი თხოვნა ვო-
რონიცოვისადმი, და მანაც სიამოვნებით მიიღო და დაე-
მაცყოფა იგი.

თვითონ ვიორონიცოვი, ხილისთავი იყო. ვირონიცოვი
თავისთან დაუპირებია გ. ერისთავი და მისი კომედიების
გაცხვენაც გადაუწყვეტია.

ვირონიცოვმა, მართლაც დიდი ინტერესით მიიღო
გ. ერისთავი, რომელსაც მისთვის მოკლედ გაუცვინა თა-
ვისი კომედიები და წარუდგინა კომედია „გაყვარის“ ხელ-
ნაწერიც. სანამ მე რუსულ ენაზე გადამთარგმნიდნენ —
ამ კომედია, — უფიქვან ვირონიცოვს ვიორონიცოვის —
შეუდგეით და უზნობრივ სცენის მოყვარულ ყველა ქარო-
ბელს, რომ ისწავლიონ როლები და თქვენი ხელმძღვანელობის
წარმოსადგენთ თქვენი კომედია თბილისის კანკაზების
სცენაზე, მაშინ ჩვენ გნახავთ. როგორცა თქვენი ნაწარმოე-
ბი და როგორც სწესსა რიგ ალმონანდებთ ქართვე-
ლებში“¹².

⁷ დ. ყიფიანი, მემუარები, 1930 წ., გვ. 9.
⁸ იქვე, გვ. 137.
⁹ „Театр в Тифлисе“, 1868, გვ. 125. „გაყვარის“ რუსულად თარ-
გმნა დ. ყიფიანმა და მანვე წაუთხარა ვირონიცოვს, რომლის განკარ-
გულებითაც დააბეჭდა ცალკე წიგნად 1850 წელს.

¹ იხ. А. Спиртин — «Сандуновых», журн. «Ист. вестник»,
1889, № 9; Е. Опочинин — «К биографии Сандуновых»,
журн. «Ист. вестник», 1889, № 11; Ф. Булгария — «Театраль-
ные воспоминания моей юности», «Пантеон», I, 1940; П.
Медведев — «Воспоминания», 1929; В. Сахновский —
«Крепостной усадьбы театр», 1924; Плишев — «Старое
ялыто», 1892.
² Акты... т. II, გვ. 19.
³ „სალტერატურონი ნაწილი ტფილისის უწყებათაში“, 1832 წ.,
№ 2.

ეს იყო 1848 წლის ბოლოს.

გ. ერისთავი მაშინვე დიდი გატაკებით შედგომა საქმეს, მისი ნატარა სრულდებოდა, ქართული თეატრი არსებობდა და „გაყრა“ უნდა დადგმოდაც მის კურთხევაზე, მის საძირკვლის ჩაყრაზე¹⁰. გ. ერისთავი, პირველყოფილია, შემსრულებელია თავისი მოყვარული დაუსწავი. მას ბევრი ხეყნა არ დაეჩვენებია, ყველა საიმედოდენი დათანხმებულნი, ვინაიდან იცოდნენ ამ წარმოდგენას უნდა გადაეყვინებოდა ქართული თეატრის დაარსების ბედი. როდესაც შესრულდა იუსრეს ისემა პირებმა, რომლებსაც მსახიობობა მიზნად არასოდეს არ ჰქონიათ. თუმცა, ცხადია, ყველა ასეთი ვანწყობით არ შეგებებია ამ დიდ და ახალ საქმეს. გამოჩნდნენ თეატრის დაარსების მოწინააღმდეგეებიც, მათ შორის იყვნენ: პლ. იოსელიანი, რევუა ერისთავი და მარია ბატონიშვილი, რომლებიც სხვადასხვა ჭორებს ავრცელებდნენ სცენისმოყვარულთა დასამინებლად.

„ურწყობის თომათა“ წინააღმდეგ ბრძოლაში გ. ერისთავისთვის განსაკუთრებულ დამხარება აღმოუჩინა ქეთევან ერისთავ-ორბელიანისას, რომელსაც თავის მეგობარი ქალბიწი ჩაუბანს წარმოდგენაში და რეპეტიციებისათვისაც თავისი ბინა დაუთმო.

გ. ერისთავს გამოუძღვდნენ რეკისორისა და მსახიობის საუკეთესო ნიჭი, რის წყალობითაც ბიესასსწრაფად მოხსნა წარმოსადგენად.

წარმოდგენის გამართვამდე რამდენიმე დღით ადრე ვირონიცოს გ. ბაბუთოვისათვის მიუხდვია ერისთავის ცენზორობა. ბებუთოვისათვის ბიესა თვით გ. ერისთავს წაუთხოვს და „ბებუთოვი სიცილით აღარ იყო თურმე“. მასაც ვირონიცოსათვის მოუხსენებია, რომ ბიესამი არაფერია ისეთი, მისი წარმოდგენა რომ დააბრკოლოს.

მოვიდა ბიესის წარმოდგენის დროც. ხალხს აფიშით ეცხობა, რომ 1850 წლის 2 იანვარს თბილისის გიმნაზიის დარბაზში (რომელიც მხატვარ გაკარისის მიერ იყო მორთული), წარმოდგენილი იქნებოდა „გაყრა“.

წარმოდგენა დიდი წარმატებით ჩატარდა. გიმნაზიის პატარა დარბაზს გაუჭირდა მაყურებლის დატევა. წარმოდგენას თავისი მუდღეობი, დაუსწავი ვირონიცოც, რომელიც, მსახიობთა თამაშით აღფრთოვანებულ, გაცხარებულ ტანს უტრავდა. განსაკუთრებული მოწონება დაუმსახურებია ვირონიცოს ერისთავს — თითქმის გასაბრძინის როლის შემსრულებელს.

თავიანთი როლებითთვის ისეთივე ყველა შემსრულებელს კარგად გაუთმევიან თავი. ი. ეს შემსრულებლებიც: ილია ორბელიანი, ოქრო ერისთავი, დიმი ყვიანია, გ. შან-ნიშვილი, ალ. ერისთავი, ნ. ერისთავი, გ. ტოლაშვილი, გრ. ერისთავი, გ. ანდრევიცკისა, ა. ორბელიანი, ქ. ერისთავი-ორბელიანი, ან. ორბელიანი, მ. ერისთავი.

წარმოდგენის მონაწილეთა ქეთევან ერისთავ-ორბელიანის თქმით, „კვირებმა და თითქმის თვეებმა გაიარა პირველი წარმოდგენის შემდეგ და ლხინი გაუთავებელი იყო“¹¹. ა. უშიაკიშვილის გადმოცემით, ერთმანეთს ხელიანდას ტაკებდნენ იმავე წელს დატეხილ ბიესას („გაყრა“), „ერთმანეთს უგზავნიდნენ და ზეპირად სწავლობდნენ ნაწყვეტ ადგილებს“¹².

„გაყრის“ წარმატებით წარმოდგენის შესახებ ილია ორბელიანი, რომელიც ანდრევიცკის როლს ასრულებდა, მშინვე უცნობებია თემურხანშურაში ყოფი გრ. ორბელიანისათვის. საპასუხო წერილში გრ. ორბელიანი 1850 წლის 25 იანვარს ილიას სწერს: „მწერ თეატრის თამაშობასა, დასრულე ვიბორა, ძალიან ვნაზობ, რომ ეგ პირველი კომედია ვერა ვნახე. ჩემი ოლიკო, ვიხივ გამოიმუშავებო გე კომედია, რომელიც არ წამკითხავს. ქეთევანის ქება შევტყვევ და არ მივივრს... აფიშკა ჩემთვის გამოეგზავნა

მიზავარმათებელსა, რომლისთვისაც ამასთანავე მწერ მადლობას“¹³.

„გაყრის“ წარმოდგენამ კარგი შთაბეჭდილება დატოვა არა მარტო ქართველ მაყურებელზე, არამედ მათზეც, ვინც არ იცნადა ქართული ენა.

ამ მხრე მეტად საგულისხმოა ცნობილი რუსი პოეტის იაკობ პოლინსკის წერილები გაზეთ „ზაკავკასკი ვესტნიკი“.

ი. პოლინსკის თქმის, „1850 წლის 2 იანვარი საქართველოს განათლების ისტორიაში ჩააწერა, როგორც არც ერის ჩვენებას, რუსს, არ ჰქონდა წარმოდგენილი, რომ იგი ასეთი კომედი ექნებოდა. კომედიის შესრულება, რომელშიც თვით პოეტი იღებდა მონაწილეობას... ყოველნაირ შექებაზე მაღლა იდგა. როდესაც საუკეთესო ცოდნა, კოსტუმები, თამაში — ყველაფერს აღტაცებაში მოჰყავდა წინააღმდეგობანი მაყურებლები. ერთი სიტყვით, ბიესას რომ გავეყვო და ქართველები თბილისულთაყივით ამისათვის საჭირო არ იყო ქართული ენის ცოდნა“¹⁴.

„გაყრის“ რუსული თარგმანიც შესრულებული დ. ყიფიანის მიერ) მალე გამოვიდა. ი. პოლინსკიმ, შეასრულა თავისი დაბარება და, მისცა მითხვებელს მისი მოკლე გარჩევა. ამჯერად ი. პოლინსკი წერს: „როცა კომედია „გაყრა“ პირველად ვნახე სცენაზე... თუცა ქართული ენის არაფერი მესმინდა, მაგრამ ბიესის შინაარსი მაინც გავიგე და არ შეშეშოლ არ მეყენა...“

ბიესა ყველას მოეწონა... და მეორე დღესიც იქცა სახალხო. კომედილანდ ამოღებულ მთელ ფრაზებს იმეორებდნენ ბაზარზე და ისეთ სახლებშიც, სადაც, შეიძლება, არავინაირ წარმოდგენა არა აქვთ იმაზე, თუ რა არის თეატრი. თავად ერისთავის სახელი შეიქნა ცნობილი და კომედია იქცა ხანგრძლივი მსჯელობის საგანად. რომელი მოწარმა, რომელი თამაში არ ინახებოდა ამას?“¹⁵.

ი. პოლინსკიმ 1851 წელს დაწერა ლექსიც „თბილისის თეატრის გახსნის გამო“.

წარმატებით წახალისებული გ. ერისთავი მაშინვე შეუდგა მზახვებას მეორე კომედიის („დავა“) წარმოსადგენად. რეპეტიციების კიდევ მეტი ინტერესით მიმდინარეობდა, ხალხიც უფრო სიხარულით მოელოდა მომავალ წარმოდგენას. ქველი მონაბრე ქართული თეატრის მოწინააღმდეგეებმაც, რომლებმაც თავიანთი დანაშაულის გამოსყვანა წარმოდგენაში უფულო მონაწილეობის მიღებით სცადეს. „დავაში“ ონოფრეს როლს ასრულებდა პლატონ იოსელიანი, ხილო ლომინ გოდაბერლიძისას — რევუა ერისთავი.

„დავა“ წარმოდგენილი იქნა 1850 წლის 3 (15) მაისს. მანქის თეატრში. ბიესამი მონაწილე მსახიობთაგან 12 პირველად ღებულობდა მონაწილეობას. ხილო 8 — უკვი მერე ბიესამი გამოიშინა. „დავის“ წარმოდგენის წარმატებით ჩატარდა. გ. ერისთავმა სარქის ბულდანიჩის როლში კვლავ დიდი მოწონება დაიმსახურა.

ვირონიცოვი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ საჭირო იყო ქართული თეატრის დაარსება და მუდმივი დასის შედგენა. მან ვირონიცოვი ერისთავი თავის ამაღლი დანიშნა საჯარებო დავალებათა უმცროსი მთხოვლად და დაავალა ქართული თეატრისათვის მუდმივი დასის შედგენა. „მაგრამ სად უნდა ემოვა... შენიშნავს ი. მუხანარია, — მომავალი თეატრის

¹⁰ ი. მუხანარია. ქართული მწერლები, II, 1914, გვ. 25.

¹¹ ზახთი „ივერია“, 1893 წ. № 1.

¹² ფერნალი „კრებულ“, 1872 წ. № 8-9.

¹³ გრ. ორბელიანი. წერილები, I, ავ. გაწარვალის რედაქციით, 1936 წ.

¹⁴ ზახთი „Закавкаский Вестник“, 1950, № 2.

¹⁵ ივერე, № 22.



დირექტორს ქართული სცენისათვის საჭირო აქტიორები და ნაშენნაოდ აქტიორები? მაინც ჯერ კიდევ დაკეთ-
ლებში ისინებენ ჩვენი ქალები და ვინ იქნებოდა ისეთი
გულადი, რომელიც თავის ასულის მიყვამს გაბედვად
თეატრში და მამა-მამაურ ლეჩას აქტიორის წოდებაზე
გასცვლიდა?

გიორგის გადაწყვეტება სოფლისათვის მიგრატია და
თავის ნაცნობა წრეში მოეპება მომავალი მსახიობები.
მას, გიორგის განკარგულებით, მსახიობებზე გასაცე-
მა მოიწონა 2.000 მანეთი და გამაზარებულა გორში.
გიორგის ზოგი უკამაგრიო დაუნიჭერესებია ზოგიც თი-
ლისში ცხოვრებითა და გიორგისთვის უწარღლებით. მალე
მოუკარგებია მსურველები, რომელთა შორის იყვნენ,
ქალები — სააკაძე, ტატიშვილი, ანტონოვა, დაფერაძე, სო-
ლი. ვაკეები — დვანად, ტატიშვილი, რჩეულიშვილი, კო-
მაია, ელიოზიშვილი, კენცაძე. რეპეტიციებს გიორგი ჯერ
სოფელში ატარებდა, ხოლო შემდეგ თბილისში ჩამოიყ-
ვანა აქტიორები და ბევრი მათგანი საკუთარ ბინაში დაა-
ყენა, ვინაიდან „ქმინიდა გული არავის შეეცალა“. თი-
ლისში ყოველდღიურად ტარდებოდა რეპეტიციები,
რომლებსაც ზოგჯერ თვით გიორგისვე ესწრებოდა.

1851 წლის 1 (13) იანვარს მანვეის თეატრში წარ-
მოდგინილი იქნა „გაყრა“, რომელსაც უამრავი მაყურებელი
დაესწრო, მათ შორის, გიორგისკვირე მუღლითურა. ჟო-
რონოსის იმდენად მოეწონა წარმოდგენა, რომ ყოველი
შესვენების დროს თავის ლოქაში იზარებდა მსახიობებს
და მადლობას უცხადებდა. გაზეთ „კავკაზის“ რეკონსტრუქციის
წერად: „თბილისის (მანვეის) თეატრის სცენაზე წარმო-
დგინილი იქნა თავ. ერისთავის კომედია „გაყრა“... ამ კომე-
დიის დადგმას თბილისის თეატრში აქვს თავისი განსა-
კუთრებული მნიშვნელობა. ასრულდებდნენ ქართული მსა-
ხიობები, ასრულდებდნენ ქართულ ენაზე, ასრულდებდნენ
ბიესას, რომელიც ქართულის მიერ იყო წარმოადგინილი“¹⁶.

1851 წლის 18 (30) იანვარს დაწინაურდნენ იქნა
„ძუნწი“; 4 თებერვალს — „კომისარო შტაბარეშე ქა-
ლასა“; 17 თებერვალს — „ბების თოთიყუასი“
 („Дядушкины попугаи“); 22 აპრილს — „სოფელისა
და ქარტიანის ბიესა. დადგირტბი ანუ ყველა ნაცნობი
სახე“ („Двагеротип или знакомые все лица“). გადმო-
კეთებულა გ. ერისთავის მიერ, 1850-51 წლის სეზონი
ქართულმა თეატრმა კარგად ჩაატარა.

გ. ერისთავის დასს მალე შეემატა ნიჭიერი დრამატურ-
გები და მსახიობები. ი. კერესელიძე, ზ. ანტონოვი, ა. მი-
ჯვარაძე, გ. ჯაფარიძე და სხვები. ქართული დასი გაძლი-
ერდა, ორიგინალური ბიესებით გამდიდრდა თეატრის რე-
პერტუარი.

განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო თეატრისათვის ზუ-
რა ანტონოვი, რომელიც, როგორც მსახიობი და დრამა-
ტურგი, გ. ერისთავის სკოლას ეკუთვნის. გ. ერისთავი ზუ-
რა ანტონოვს უსწრებდა ბიესებს, მიუთითებდა გადმო-
საკეთებლად ვარკის ბიესებზე, აძლევდა ცალკეულ სოუ-
ჟეტებს ბიესებისათვის და ა. შ. მაგრამ ზ. ანტონოვის სა-
ხანოლო უნდა ითქვას, რომ იგი თავისი მასწავლებლის
ბრძა ვალენტიანო ან მოქცეულა, თავის ბიესებში ბევრ
ახალ მოვლენას მიჰქცია ყურადღება და ქართული დრამა-
ტურტია გააძლიერა შეტყობილ დახალი წრის ხალხის
ცხოვრების ამსახველი ბიესებით. მან ქართული თეატრის
რეპერტუარს შესინა ისეთი ბიესები, როგორიც არის „მე-
მინდა ცენიდა ვაგხელ“; „ქმინი ხუთი ცოლისა“, „ვანა მე-
მინდა ცოლი მერთო?!“, „ქორილი“, „შვის დაწვნილმა
საქართველოში“, „ქორწილი ხევისურთა“, „ტვითი მოგზაუ-
რობა ლიტერატორთა“ და სხვ.; გ. ჯაფარიძემ — „მაიკო“,
„იჭიანი ქმარი“; გ. დვანაძემ — „სალო კეკელიძე“; ა. მი-
ჯვარაძემ — „ქმრები ვაჟაბაძე მახვილი“.

ამგარდა, ქართულ თეატრს სულ მცირე ხნის შემდეგ
უკვე ჰქონდა საკუთარი რეპერტუარი, ჰყავდა საკამოდ და-

ხელოვნებულ მსახიობთაგან შემდგარი დასი, ჰქონდა მან-
და დაღუპილი თანხები საჭირო ხარჯებისათვის. ამას უწე-
და დაქმნის გიორგისთვის განსაკუთრებული ყურადღე-
ბაც, რომლის წყალობით გ. ერისთავი ახერხებდა მისი და-
სის წინაშე აღმართული დამპყრობების დადგევას.

1851 — 52 წლის სეზონს ქართული თეატრი მომზად-
ებულ შეხვდა. გ. ერისთავის კომედიათაგან ერთად დაიწყო
წარმოდგენა ზ. ანტონოვის და სხვათა კომედიებისა.

1851 წლის განმავლობაში ნაშენებელი იქნა 22 საბჭოელო წრე.
მ. თუმანიშვილმა და ვ. სოლოგუბმა სტეტიკული წრე
რილები უძღვეს გაზეთ „კავკაზში“ ქართული წარმოდგე-
ნების განხილვას. მ. თუმანიშვილი წერდა: „თავად ერის-
თავის, რომელიც, უწინარეს ყოვლისა, პოეტია, თუმცა
ამასთან ერთად დაჯილდოებულია დიდი კომიკური ნიჭით,
ერთი უნდა შეზარდებოდა დრამატული ცხოვრების სი-
ბნელესა და სიცარიელეს სკატრთვლით და უნდა გაე-
ძნებოდა ამ გამძობისათვის. თუ რაგორ შეძლო მან ამ საგმი-
რო საქმის შესრულება, ამას ჩვენ მისი პირიული მიღწევებ-
ით ვხედავთ. იგი კიდევ ბევრს ვგვირბედა და ეგეს არ იწე-
ვებს, რომ შესრულებს. მსახიობი ვაკეები — ჯაფარიძის
დავანას, კომისარო და მსახიობ ქალის ტატიშვილის სა-
ხით მას ჰყავს უაღრესად მოხდენილი შემსრულებელნი
სცენური ხელოვნებისა; ხოლო მსახიობ ანტონოვის სახით
კი — ნიჭიერი და გულმოდგინე დრამატურგი. ყველა ისი-
ნი ერისთავის მიერ არანა აღზრდილი. ეჭვი არავა, რომ იგი
მათ კიდევ მეტად გააყრებინა, უჩვენებს შეცდომებს და მის
გამოსწორების საშუალებას“. ეხებოდა რა თეატრის რე-
პერტუარს, მ. თუმანიშვილი ამბობდა: „თავისთავად იკუ-
ნისხებდა, რომ რეპერტუარი არის ყველაფრის საფუძვე-
ლი, მისი საშუალებით მყარდება კავშირი თეატრსა და სა-
ზოგადოებას შორის“.

რეკონსტრუქციის თქმით, ბუნებრივად დროული იყო ქარ-
თული თეატრის რეპერტუარის შესვება ძირითადი კომე-
დიებით, მაგრამ იქვე აერთილებდა თეატრს მისიწინამდელ
შეემკვირებინა ნათარგმნი და გადმოკეთებული ბიესების
წარმოდგენას. იგი მოითხოვდა ადგილობრივი ცხოვრების
წინამდებობს ამსახველი ბიესების მეტი რაოდენობით წარ-
მოდგენას. სწორედ ამიტომ მოსწონდა მას გ. ერისთავის
კომედიები.

1852-53 წლის სეზონში ქართული თეატრი კვლავ
ძველ პირობებში დარჩა. მიუხედავად ამისა, ქართული
თეატრის მდგომარეობა გაცილებით მძიმე იყო. თუ აქამდე
მას კონკურენციის გაუქმდა უხდებოდა მხოლოდ რუსულ
თეატრთან და მაყურებელს იზიდავდა ისილ გამოც, რომ
ბევრმა რუსული ენა არ იცოდა. 1851 წლის შემოდგომაზე
თბილისში დაარსდა იტალიური ოპერა, რომელმაც ბევრი
მაყურებელი მიიზდა.

1852-53 წლის სეზონს ოპერა იწყებდა 18 ნოემბერს.
მაგრამ უკვე დიდი ხნით აღრე იყო გაყვდილი ყველა აბო-
ნიმდებელი და ეს იმ დროს, როცა რუსულ და ქართულ წარ-
მოდგენებს მაყურებელი ნაყოფილად ესწრებოდა. ქართული
თეატრისადმი უყურადღებობას, პირველ ყოვლისა, მდამ-
ალი წოდების წარმომადგენლები იჩენდნენ. მათ მეტად ესა-
ხებოდალათ რუსულ თეატრსა და იტალიურ ოპერაში სიარ-
რული; ამით მათ თვინაობდა „განსწორებლობის“ ჩვენება
უნდოდა; ზოგიც თვინაობდა იყო საერთოდ ქართული
თეატრისა.

1853 წლიდან თბილისში იდგებმა აგრეთვე ბალეტი,
რომელმაც თავისი მაყურებელი პოეოა.

მიუხედავად ამისა, 1852-53 წლის სეზონი ქართულმა
თეატრმა კარგად დაასრულა. მან მაყურებელს უჩვენა:
სკრიბის „ფრანს თეთრი დათვი“, ზ. ანტონოვის „შვის და-
წვნილმა საქართველოში“, „ქორილი“, „ხევისურთა ქორ-
წილი“ და გ. ერისთავის ორიგინალური და გადმოკეთებუ-
ლი კომედიები.

ბევრი ახალი დადგმა განახორციელა ქართულმა თეა-
ტრმა 1852-53 წლის სეზონშიც, მაგრამ ამჯერად მას ძალ-
ხედ გაუჭირდა სეზონის დამთავრება. თეატრების ახალი

¹⁶ „Кавказ“, 1851, გვ. 1.



დირექტორი ზოვანოვი კარგი თვალთ არ უყურებდა ქართულ თეატრს. ქართული წარმოდგენები იხიშვებოდა იტალიური ოპერის შემდეგ ან წინ. გასაკუთრებელი დღე მას არ ძელოვდა. ამის გამო მასურებელი, განსაკუთრებით, ქართული იქნის არამცოდნე, ან დავიანებთ მიიღოდა თეატრში (თუ ქართული წარმოდგენა პრივილად იყო დაწინაურებული), ან მოლოძვე არ რჩებოდა (როცა ქართული წარმოდგენა შემდეგ იყო დაწინაურებული). მაგრამ ასეთი მასურებელი ადგოვს მაინც „იკავებდა“, რადან ბილეთი აღეზოლი ჰქონდა. ასე რომ, ქართველ მსახიობებს თამაში უხდებოდა ნახევარად ცარიელი დარბაზის წინაშე, რაც მათზე, ცხადია, მოქმედებდა. ასეთმა მდგომარეობამ ქართული თეატრისადმი მტრულად განწყობილი რევენზენტებს შეესაძლებოდა მისცა გავრცელების ფურცლებზე ემტიკციონით სისხლზე ქართული პიესებისა და წარმოდგენებისა, რაც სრულიად არ შეეფერებოდა საკმის ნამდვილ ვითარებას.

1854 წლის 17 თებერვლს თბილისის თეატრის მფლობელი გიორგიშვილს წარუდგინა მოხსენება, რომელშიც ხაზგასმული იყო ქართული თეატრის მიერ გავრცელებული ხარკების სიმძიმე და მეფისნაცვალს ურჩევდა უარი ეთქვა ქართული თეატრის არსებობაზე. ე. ერისთავს დიდი დავა და კამათი ჰქონდა თეატრის დირექციასთან, კერძოდ, ზოვანოვთან. ამის გამო იყო, რომ მას ახეზდებოდა კიდევ.

გაცივრ რა თბილისის თეატრის დირექციის ამ მოხსენებამ, გორონცოვმა კვლავ ძალაში დატოვა ქართული თეატრთან დადებული პირობები. მან, თბილისიდან წასვლის წინ, გასცა განკარგულება, რათა დევიციტის დასაფარად საჭირო თანხა გუყვოდ და ქართული თეატრის მსახიობებისათვის წლიური ჯამაგირი (4.000 მან.) წინასწარ მიეცა. მაგრამ ეს იყო უკანასკნელი დახმარება, რომელიც ქართულმა თეატრმა მიიღო. გორონცოვის წასვლის შემდეგ ე. ერისთავის დასი მიძიმე მდგომარეობაში ამიძირდა.

1854 წლის 9 (21) სექტემბერს ე. ერისთავმა განცხადებით მიმართა თბილისის თეატრის დირექტორს: „მსახიობებმა იმ დასისა, რომელიც მე შეყავს ჩაბარებული არა ერთხელ მიმართეს თხოვნით შუამდგომლობისათვის, რათა ჯამაგირი თავის დროზე მისცემოდ, როგორც ეს ნაბრძანები იყო მეფისნაცვლის (გორონცოვის) მიერ. მაგრამ მე მათ ვამეფებდები ხოლმე და დირექციის ცნობამდე არ მიმქონდა ეს ამბავი. ბოლოს, ვერ მივიღეს რა ჯამაგირი 2 ივნისიდან დღემდე, ჩემი სახლიდან აღარ გამოდიან და მიზივრენ დავაგამყოფილო ხელფასით. ამის გამო უშორჩილესად ვიხოვ ხსენებულ დირექციას მომცემ მათი კუთვნილი ჯამაგირი 1 ივნისიდან 1 სექტემბრამდე. ამასთან ერთად ვიხოვ მაცნობის მიეცემათ თუ არა მათ მომავალში თავის დროზე ხელფასი, რის გარეშეც მათ ჩემთან დარჩენა არა სურთ“.

განცხადების შესახებ ზოვანოვმა განამარტვა მისცა შუამდგომლობის კანცელირის დირექტორს შერბინინს, თუ საიდან უნდა დაეფარათ ქართული თეატრისათვის მისცემა ხელფასი; თანაც აფრთხილებდა, არ ეცია მომავალში რით უნდა დაეკამყოფილ ქართული თეატრი, როცა მისგან მივირ შემოსავალია. ამიტომ პირდაპირ უყვევდა კითხვით — დათხოვნი ქართული დასი.

ყოველივე ეს მოახსენა რა შერბინინმა მეფისნაცვლის მოვალეობის აღმსრულებელს გენერალ რეადს, უკანასკნელმა დაავალა ზოვანოვს გაცემა ქართული დასის კუთვნილი ხელფასი და არ დაეშათ მისი დათხოვნა მომავალშიც. ეინაიდან ასეთი იყო სურვილი გორონცოვისი.

ზოვანოვი მაინც ავიწროებდა ქართულ თეატრს. ე. ერისთავს არ მისცა დარჩენილი 300 მანეთი, რომელიც მას ერგებოდა კოსტუმებისათვის. ამის გამო ე. ერისთავმა 1854 წლის 8 (18) ოქტომბერს კვლავ მიმართა გენერალ რეადს და შესძლო მიეღო ეს თანხა.

1854-55 წლის სეზონს ქართული თეატრი შეტად ცუდ პირობებში შეხვდა, მას არა თუ ემარჩობოდა ვინმე, არამედ ცდილობდნენ მოესპოთ იგი. 1854 წლის 14 (26) ოქ-

ტომბერს ქართულმა თეატრმა მასურებელს უჩვენა მანკინიონის „ქორილი“. როგორც ვაჭიო „კაკაზი“ წერდა, წარმოდგენის დღის პარტერში 20-მდე მასურებელი ისხდა მაშინ, როცა უკანა ადგილებზე ტვევა არ იყო, და კმაყოფილი მასურებელი გაცხარებულ ტამსაც უკრავდა. წარმოდგენამ სათელი გახადა თეატრის დირექციის „ყურადღებას“ ქართული თეატრისადმი. ყველა გაცივრებული დარბაზი იმ დღისათვის, რომელიც გამოეცხადებოდა იყო „ქორილილათვის“. იმის გამო, რომ ქართულ თეატრს საჭირო სახსრები არ გაჩანდა, „ქორილი“ იმერა „როგოლტის“ დეკორაციებში წვიდა. თურქეთის ფაშის თათბი იყო — ჰერცივის სასახლის დარბაზი, ასევე „შესატყვისი“ იყო კოსტუმებიც.

ე. ერისთავი მოვლდა ამ გაუთავებელმა ბრძოლამ, მისი ოჯახური მდგომარეობაც გაუარესდა, რის გამო თეატრის დირექტორმა ზ. ანტონოვს დაუთმო, ზოლო თეთონის სოფელ ხილისთავში გადასახლდა. ეს მოხდა 1854 წლის ნოემბერში.

ხალხისა და პიესის უკმაყოფილებსა და მოთხოვნის შემდეგად, გადაწყვედა ქართული იესების ცალკე წარმოდგენა და ბილეთებზე ფასების დაკლება. დაკლებული ფასებით ბილეთების გაყიდვა დაიწყო 1854 წლის 22 დეკემბრიდან, როცა წარმოდგენილი იყო ე. ერისთავის „გაკაზა“. სექტყალს უამრავი ხალხი დაესწრო, რამაც სათელი გახადა, რომ ხალხის დაბალი ფენები დაინტერესებული იყვნენ თეატრით.

თეატრის გამოცოცხლებასა და მსახიობთა კარვ თამაში ვრცელი წერილი უძენდა ი. ევლახოვმა („Кавказ“, 1855 წ. № 2).

1854 წლის დეკემბერში ქართულმა თეატრმა დიდი დანაკლისი განიცადა — გარდაცვალა ზურაბ ანტონოვი, რომელიც შესცვალა ი. კერესელიძემ. ქართული თეატრის მდგომარეობა თანდათან უარესდებოდა, და ეს იმ დღის, როცა თეატრს კლერკებთ გამოწერილობილი და გამოცხადებული მსახიობთა კოლექტივი ჰყავდა, როცა, ადმინისტრაციის მხარდაჭერის შემთხვევაში, მას შეეძლო განეხარცებებინა ყოველგვარი პიესის დადგმა. შემთხვევითი არ იყო, რომ 1855 წელს გავთ „კაკაზის“ მერვე ნომერში რევენზენტები წერდა: „ქართველი აქტორები, ქალბები და კაცებიც, ყოველთვის მოლოდინს აკარებენ. არამაძიმე, დავანაძე, ჯაფარიძე, — არ ვიცი, რომელ მათგანს შეეხასია მერტ ექვამ. პირველი უზაღლოა ვაჭარ-მეფასთა როლებში; დვანამე — ჩვეულებისაგან თავდაუწყვეელი გემამულეების როლები საუკეთესო წარმომდგენია; ჯაფარიძე მიჯნურის როლებში პირველი მოხერხებული შემსრულებელია; ტატინაშვილი საუკეთესოა ჩინის ქოქიეთა და კეთილშობილი მამების როლებში; ელიოზოშვილი — დაბოითა როლებში; ზენგლოვი ჯერ კიდევ ბავშვია, იმელს კი იძლევა.“

მსახიობ ქალბები პირველმა მიეყოთებდა ტატინაშვილს, შემდეგ არამიძეს... მათ შეუძლიათ წარმოადგინონ რომელიც ვინადა პიესა“.

1855 წლისათვის ქართული თეატრს რეპერტუარში ჰქონდა 30-მდე პიესა, რომელთა უმეტესობა ორიგინალური იყო.

1854-55 წლის სეზონის დასასრულს დაემთხვა იმპერატორ ნიკოლოზ პირველის გარდაცვალებამ, რის გამო გლოვა ვამოცხადეს და თეატრებს ე თვით მუშაობა შეაწყვეტილეს. მაგრამ ეს „შესვენება“ არ გამოდგა დროებითი ქართული თეატრისათვის. 1855 წლის 18 (30) აპრილს ზოვანოვმა აცნობა ქართულ დასს, რომ იგი დათხოვნილია. დაშლილი იქნა იტალიური ოპერის დასიც. შემცირდა რუსული თეატრის მსახიობთა კოლექტივიც.

ქართული მსახიობები არ კარგავდნენ იმედს. 1855 წლის 2 (14) სექტემბერს მსახიობებმა არამიძემ, ლეკია რაშვილმა, უზნამემ, ივანიმე, ელიოზოშვილმა და სხვებმა ბებუთოვის მმართველს განცხადებით, რომელშიც განსმარტებულნი თავიანთ გამოყოვალ მდგომარეობას, მოვარებდნენ მას, რომ ჩვენ მსახიობთა დავიწყეთ მეფისნაცვლის



ვირონიციის დაბრუნებით აღნავარძო არ გაუღწეოთ არა-
ვიოთ სიძულეს, მაგრამ ამჟამად სრულიად უმართებუ-
ლედ ვართ დაიხივნილი, ნება დადგერეთ კვირაში ერთ-
ხელ მაინც გაემართოთ წარმოდგენა, რის უფლებას რუ-
სული თეატრის დირექცია არ გვაძლევს.

განცხადებამუ ქართული მსახიობებმა ურყოფითი
პასუხი მიიღეს. მაშინ, 1856 წლის 31 დეკემბერს, ი. კერეს-
ელიძემ თითონ მიმართა ბებოვსკის განცხადებით. იგი
აღნიშნავდა, რომ ქართული დასი წარმოდგენებს გამარ-
თავს დაქირავებულ დარბაზში, ვარაზნის შენობაში, მაგ-
რამ დეკორაციებსა და სხვა საჭირო საშუალებების უქონ-
ლობის გამო ხელეფდა დადგმების განხორციელებაში. იგი
იხივდა დასმართეს თანამშენის თეატრში წარმოდგენე-
ბის გამართვისათვის. პასუხად განცხადებისა ი. კერესე-
ლიძეს გამოუცხადეს: «Так как просьба его написана
на простой бумаге и в ней не обозначено имя сочи-
нителя и переписчика.... оставлена без последвий».

ი. კერესელიძე სხვა ახალ დაბრკოლებასაც წააწყდა.
აუ მანამდე ქართული პიესების ცენზორად პ. იოსელიანი
იფლებოდა და რუსულ ენაზე პიესების თარგმანს საჭირო
არ იყო, ახლა უკვე მოსთხოვეს, რომ საერთო წესს დაძირ-
ჩილებოდა. პიესები მე-3 განყოფილებაში უნდა განხილუ-
ლიყ. მსახიობებმა ტატიშვილმა, ლავროვილმა, ელიო-
ნიშვილმა, კიხანაძემ და ზენგლოვმა 1856 წლის 2 (14)
თებერვალს კვლავ გაუზავნეს მოსხენებით ბართა გენე-
რალ მურავიოვს. ისინი მოკლედ მოაკონფედნენ მას ქარ-
თული თეატრის თავდადასავალს და კვლავ სთხოვედნენ
მიუცა ნება ექირაშო ერთხელ წარმოდგენების გამართვის
რუსული თეატრის შენობაში. თხოვნას არავითარ შედეგი
არ მოჰყოლია.

1856 წლის 7 (19) ივნისს ი. კერესელიძემ და ნ. ყან-
ჩელიძემ კვლავ მიმართეს მეფისმოადგილის კანცელარიის
დირექტორს თხოვნით, მაგრამ ამაოდ. ქართულმა თეატრმა
არსებობა შეწყვიტა.

საყურადღებოა, რომ გ. ერისთავი თბილისიდან წასე-
ლის შემდეგაც არ ავლებდა ზრუნვას თავის თეატრს. დრო
და დრო თბილისში ჩამოდიოდა და ამხნევებდა მრავალ
დაბრკოლებასთან მებრძოლ თეატრის კოლეტივს.

გ. ერისთავის საქმის გამგრძელებელი ი. კერესელიძე
თავის მოგონებაში ამბობს: „ბოლოს, როგორც იცით იგინი

საზოგადოების საქმე, თანაგრძობაც ცოტა გვექონდა. ხშირ-
სად, როდესაც ვიორჯი ერისთავი ქალაქში ჩამოვიდოდა,
დადიოდა თეატრში და გვეპეხებოდა, მაგრამ ამით რა იქნე-
ბოდა: ვალი თავისას თხოვლობდა, სახლის ქირა თავს
დაეკრებოდა, საიფიარო ავეცილებს. ლოგები, სკამები, დეკო-
რაციები დადვიდოდ ნახევად ფასად და ჩქმი ტრუპა-
მადრას ცარიელი. რი არა დავევრას რა, ტრუპას დაიშა-
ლა. — ზოგი სად წავიდა და ზოგი სად. მე დავრჩი გავლი
ჩაყვლილი. განმარბონი ვისახურობდი და ჩემი ჯამაგირი
სამი წლის განმავლობაში სულ მოვალეებს მამკონდათ».

ასე უსამართლოდ იქნა მოსპობილი მისთვის რუსეთის
ბიორჯიანული მმართველობისაგან გ. ერისთავის მიერ
დაარსებული და ავტორიტეტ-მოპოვებული ქართული თე-
ატრი სწორედ მაშინ, როცა მას შეეძლო უკეთესი დადგე-
ბის განხორციელება. მართალია, წარმოდგენები შემდეგაც
იმართებოდა, მაგრამ იშვიათად და არა ოფიციალურად.
სანამ 1879 წელს კვლავ არ განახლდა მუდმივი ქართული
თეატრი.



მიუხედავად იმისა, რომ სულ რამდენიმე წელს არსე-
ბოდა გ. ერისთავის თეატრი, მან მიიწვ ღიდი როლი
შესარულა ქართული თეატრალური ხელოვნებისა და
საერთო ჩვენი კულტურის განვითარებაში.

სამწუხაროდ, გ. ერისთავს არ დაუტოვებია კრიტიკე-
ლი და პუბლიცისტური წერილები, რომლებიც გაკვიადი-
ლიდნენ მისი თეატრალური შეხედულების გათავალისწი-
ნებას. მაგრამ მისი დრამატურგიული თხზულებები და
მისი ხელომდენილითი განხორციელებული დადგმები,
რომელთა შესახებ იმდროინდელ რუსულ გაზეთებში საყ-
მალ ვრცელ კრიტიკული გარჩევები მოიპოვეს, საშუა-
ლებას გვაძლევენ ვარკვეული წარმოდგენა ვიციროთ
გ. ერისთავის შეხედულებებზე ამ დარგში.

გ. ერისთავის ერთი უდიდესი დამსახურება ქართული
კულტურის წინაშე მდგომარეობს იმაში, რომ მან ვასული
საუკუნის 50-იან წლებში შშლო საქმედ ქცეა ქართული
ხალხის ილი ხნის ხატება — დაარსებულიყო ქართული
პროფესიული თეატრი მან ხორცი შეასხა ამ სურვილს
იგვეარა წარმატებით, რომ მისი თეატრის სტილი დიდხანს
ახდენდა ვავლებს ქართული თეატრის შემდგომ განვითარე-
ბაზე.

რეჟისორ ავქსენტო ბაშასურდიას ორი სპექტაკლი

ნოდარ გურაბანიძე



ექსენტო გამახარდიას პირველ სპექტაკლს
მონარდამყურებელთა ქართულ თეატრში
ცხოველი ინტერესით შეხვდა თეატრალური
საზოგადოება.

ბერესთავის ნათელი ვახდა, რომ ამ თეატრში ახალი
თეატრალური ატმოსფერო შეიქმნა, რომ მთელი დასი
ენთუზიაზმით ჩაება შემოქმედებით საქმიანობაში.

ეს პირველი სპექტაკლი, რომელმაც ნათელი ვახდა
რეჟისორ გამახარდიას თავისებური თეატრალური ახ-
როვნების სიმკვეთრე და ფერადოვნება, იყო „ვარსკვლავ-
ბიჭუნა“, ოსკარ უოლდის ზღაპრების ინსცენირების მიხე-
დვით დადგმული.

განვლო დრომ და ამავე რეჟისორმა დადგა გ. ივანი-
შვილის ფანტასტიკურ-სათავგადასავლო პიესა „კომეტა-
ბ-2“. თუმც ამ პიესის მხატვრულ აზროვნებასა და ესთე-
ტიკურ იდეალს შორის მკაფიო ვერავარს იპოვეთ, სპექ-
ტაკლებში მაინც იგრძნობა ერთი რეჟისორი-შემოქმედი,
რომელიც ამ ორი პიესის დადგმისას თუმც განსხვავებულ

თეატრალურ საშუალებებს მიმართავს, მაგრამ ჩვენ
ვეგრძნობთ თუ სად იღებენ ისინი სათავსს. ეს არის რეჟი-
სორის თავისებური სტილი, რომელიც აერთიანებს და
რადაც საერთო ნიშნას სვამს ამ ხერხთა სხვადასხვაობაში.

უპირველესად ის უნდა ითქვას, რომ ა. გამახარდიას
ფიქრობს იმაზე, რომ თავისი რეჟისორული ფანტაზია რა-
ნიმე კომპრომისს დაუმორჩილოს, დაიხიოს უკან იმის ში-
შით, რომ ამ თეატრის მყურებლებისათვის შეიძლება ზო-
გი რამ უცხო და გაუგებარი იყოს. პირიქით, მისი პირველი
სპექტაკლი ერთობ „რთულია“. მაგრამ რთულია არა აქსე-
სივლად, არამედ კომპონენტების შერწყმის ისტატობით,
მხატვრული ცსოვლის მრავალფეროვნებით. ეს „სირთუ-
ლე“ სწორედ, რომ ახალგაზრდა მყურებელს მთელს
სიღრმით და ესთეტიკურად განაცდევინებს პიესის იდე-
რად და მხატვრულ ღირსებებს. მიუხედავად ზემოთხე-
დილისა, ა. გამახარდიას ორივე სპექტაკლი მაინც მსკე-
ფიურია სწორედ ამ თეატრისათვის და სწორედ მისი მ-
ყურებლისათვის.

არსად ისე „შიშვლად და მშრალად არ გაისმის რაიმე მორალური თუ პოლიტიკური სენტენცია, როგორც მონარხიდა თვარის სცენიდან. მშრალი სერიოზული და განსჯადი მასურებელი თავშეკავებით უსმენს ამგვარ „სლის მარგველ“ ქადაგებს სცენიდან და უხერხულე-ბაში არ აყენებს არც ავტორს, რომელმაც ამგვარი რამ დაწერა, და არც მსახიობს, რომელმაც ეს ფრაზა წარმო-სთქვა. მაგრამ საკმარისია ამგვარი რამ გაისმოს ამ სცენიდან, რომ ნორჩი მასურებელი ყოველგვარ ინტერესს ჰკარავდა სპექტაკლისადმი, ირონიით იმსჯელებდა ავტორისადმი და საკმაოდ აზარტულადაც გამოხატავს თავის აღმფრთვებს. სწორედ ამიტომ, ყოველი აზრი თუ მორალური კატეგორია აქ აუცილებლად სახეობრედ განსხვავდება მოთხოვნის (ეს თვარის ბუნებაა, და მის დალატს ყოველთვის მიძიმე შედეგები მოჰყავდა ხოლმე).

ა. გამასხურდიას სპექტაკლების (განსაკუთრებით ეს ეტება „ვარსკლავებიუნას“) ესთეტიკური გამოსავალი ის არის, რომ სწორედ თეატრალური მოქმედებით, თეატრალური გაფორმებით (როცა ფერის და მოცულობაც გარკვეულ მხატვრულ ფუნქციას ასრულებს), „ზოგჯერ ინტერმედულობით კი (რომლებიც უმთავრესად საჭირო ემოციური განწყობების შექმნის მიზნით არიან ჩართულნი) გადმოვიქცევა ნაწარმოების თავისებურება, მისი იდეა.

თეატრალურ შემოქმედებაში რეჟისორი უპირველესად ეყრდნობა მსახიობის შემოქმედებას სცენაზე და აგრეთვე „წინადა“ სახილველ მოქმედებას. ე. ი. მსახიობის აქტიურობის მოქმედებით იგი ქმნის კონკრეტულ მხატვრულ გარემოს (ეს არის მისი სპექტაკლის ძირითადი სახილველი მხარე) და აგრეთვე ამას აყენებს „სუფთა“ სახილველი მომენტები, რომლებიც პირველსაგან ვახსენებდით რაიმე კონკრეტულ აზრს არ ატარებენ, მაგრამ ქმნიან აუცილებელ თეატრალურ-ემოციურ განწყობილებას მაყურებელში. ამ ორი მომენტის ერთიანობა მის სპექტაკლს თავისებურ, განსაკუთრებულ სახეს აძლევს. ამასთან ერთდის პირობითი მხატვრული დეტალების და სახეების იმგვარი გააზრება, როცა ისინი ყოფილიყვნა და ზღაბარებულნი მთავრად და-ნა („ვარსკლავებიუნა“). ამხვე დროს თანაზრად ატარებენ ორივეს ნიშნებს. ეს გარეობება წარმოდგენილ ცხოვრებას აძლევს თეატრალურ ცხოვრებას და მაყურებელიც მას აღწევს სწორედ როგორც მხატვრულ ფაქტს, რის გამოც ოდნავადაც არ მცირდება მისი ნაბეჭდი და და-ნაწილებული ძალა. უმთავრესი ღირსება აქვე: გამასხურდიას ტალანტისა და სპექტაკლების მიხედვით ის არის, რომ აქ ნორჩი მასურებელი ჩინებულად გრძნობს: ის, რაც სცენაზე ხდება, ეს არის წარმოსახული სამყარო, ბევრი რამ აქ გამოკრთილია და შექმნილი მხოლოდ თეატრის მიერ, მაგრამ იგი ამ გრძნობას არ უწყვეტ წინააღმდეგობას, სწამს აქ შექმნილი სამყარო, ამიტომ არც უცულებლად პირობითი ელემენტები და რეჟისორის საკმაოდ თანამი ხერხებით. მასურებელი მიჰყვება ამ „ცხოვრებს“ კონკრეტულს ამგებს, და როცა მას ჰგონია, რომ არავითარ დეტალურსა და წინადა ზნეობრივ ნორმებს არ ჰკარანახობენ, თურმე სწორედ მაშინ შეაგონებენ მას. მაგრამ ამ „შეპარებაში“ ისტატომა რეჟისორისა და მსახიობების. თუმც „ვარსკლავები-უნაში“ პირდაპირ არატყობი სიტყვა არ არის თქმული იმის შესახებ, რომ ადამიანი უნდა იყოს კეთილშობილი, კეთილშობილი, თავგანწირული მეგობრისათვის, გულუხვი და ყველა სხვა სიკეთით აღსავსე, მაგრამ სპექტაკლი მთლიანად სწორედ ამგვარ აზრებსა და მისწრაფებებს აღძვრავს მაყურებელს.

სპექტაკლის ემოციური განცდის გზით მაყურებლის გონებას ეუფლება ერთი ცნობიერი მომენტი, და დასკვნები შემდეგ გამაგრებს მას. სპექტაკლის მსგავსობაში მას უზარალდ ამის დრო არა აქვს, მისი ფაზტაზია ცხოვრულ ენაბრება სცენაზე ატარიალბულ ამგებს, იგი ატარებო და აღზნებულსა, გრძნობა ასევე ქმედითი, იგი ვითარ-ლება ადამიანს ერთად და თანდათან იძაბება. ბოლის მაყურებელი მთლიანად მოქცეულია სპექტაკლის ატმოს-

ფეროში, მისი პატირი სუნთქავს, შეგრძობია მოვლენების მოვალეობი.


„ვარსკლავებიუნა“ იწყება მცირე პროლოგით, რომელიც მიღის მართალი, თხელი ბოლოსის მიღმა. ორი ეტყვევით თვითი დაფარულ მთებზე მიეპარება. მისი ილუზიას ქმნის ორი ურთიერთზე ვერტიკალური მიდგმული ნახევარსფერო და, თუმც ისინი ერთ მსგავსობას არიან, მაგრამ იმგვარად არის დაცული პირობითი, რომ ჩვენ თვალით არ ვხვდებით მათი პირობითი ამოშტატი. ამ მთებზე მოვალე მტყვევება ხმა, რომელიც თითქმის შორიდან მოედის და უცხარად ისმის თვლის, „თვარ მდუნარებაში“, მთელი ეს გარემო ილუმინირის შთაბეჭდილებას სტრუქტურა და რაღაცის მშობლივით არის სასესე. ეს ასევე უნდა იყოს. სწორედ ამგვარი ვითარებაში სანთები ბავშვი შეიძლება იყოს ზღაბრულიც და რეალურიც.

ა. გამასხურდიას არ შეუძლია გულგრილად, მშრალად უთხარის მაყურებელს, რომ ვარსკლავებიუნას ბოჯის დილიდან ვაგნოლ რამდენიმე წლებს: იგი ამისათვის ქმნის ინტერმედია-მაღლეს, ავანსცენაზე, ფარისის წინ სინელებში გაივლიან მოცულებები, მშვენიერი კოსტუმებში გამოწყობილი. თითქმის მათგან მტკიერი ე. წ. ელემენტრული საღებავით აწერია წელი. ამ სინელებში ისინი გასრიალდებიან მაყურებელთა თვალწინ და გვაგონობრივნი მთავრად სწრაფავენ. შემდეგში ეს მოცულებები კვლავ ქმნიან ერთ ინტერმედია. ისინი ცეკვავენ, აგებენ ლამაზ პირამიდებს, მოხდენილ ფიგურებს გამოჰყავთ და მიუთქვენ, უცნაურ სამყაროში გადაყავართ. შინაგანად თითქმის ამის გავრძელებას მოქმედებს, რომელიც წარმოებს მეფის ან-ჩხლი კალწულის ბაღში, სადაც უცქვე დამახინჯებული ვარსკლავებიუნა მიღის, რათა საღამომრე დაუტარს და დედოფალს ავარს პირობითობისა და არანამდვილობის ნიშანი თვით ბატარა ქალბატონიც თითქმის თოჯინა, მკვეთრი, კუთხოვანი მოძრაობით და ციკვი, ვაგონები მხითი. აქ ყველაფერმა უნდა მიიღოს თამაშის და გარეთის სახითი და ამიტომ საესესით ბუნებრივია, რომ ამავსე და თავივე ჰმბუკი, რომელსაც უფრო მეტად სასახლის კარის ბრწყინვალბა იზიდავს, ვიდრე ბუნების მშვენიერება, სწორედ ამ გარემოში იგრძნობს პირველად, რომ მასში ეტყებენ თოჯინას, გამართობას და ჰისტორიას: მას ადრე, პაუტმა-ნიის რაუტენდელიერის, — ტყის თვალწარმტყავი ასლის დარად, უცვარად თავისი მშვენიერი სახის ჰერტვა წყაროში, და ახლა კი სწორედ აქ, სარკეში იხილავს თავის უცხე მხინჯე სახეს. მისი სასოწარკვეთა, თავგანწირული გვემა სხეულისა და ბატარა დედოფლის აღტაცებული კვილი ამის გამო, ქმნის სპექტაკლისათვის აუცილებელ კონტრასტს. საერთოდ ეს მოქმედება ზაფიერებულა, როგორც კონტრასტული. სპექტაკლის პირველი მოქმედების ოდნავ ზღაბრული ილითა, ასევე მისი ოდნავ პასტორალური ელფერი განსჯადება სასახლის ბაღის მთელი ვითარებისაგან, სადაც ყველაფერი პირობითია, დეტალური უფრო განზოგადებულ და სიმბოლური კი. მთელი ეს მოქმედება თავისი განწყობილებით ნარაოთა პეტეტრობითი შორეულად მაკონებს აღფრედ დე მოუსეს თვარის.

ასევე გონებასმეღელურად არის დედგული ვარსკლავ-ბიჭუნასა და ტყის ხეტილი დედის საძებრად უღრან ტყეებში თუ გვახად ჰმბებში. განსაკუთრებით სცენა ქალაქის კარბეგუნას. აქ მანგელი იოჯობის გრძნობით დახატულია ორი ზანტი და ხარბი დარაჯის სახე. ქალაქის ხედი, რომელიც შორს მოხმანს და ნახევრად ფანტასტიკურია, ამ დარაჯთა აღმწარლობა და საომარი უგალადებება ჩვენში მხიალურ, ირონულ განწყობილებას იწყებს რაღაც ვითომც არსებული და ძნელად მისაწვდომი ბედნიერების მიმართ.

ეს სპექტაკლი-ზღაბარი ამ ბედნიერებას ვვიჩვენებს მიწაზე, უბრალო ადამიანებში, ადამიანურ სიყვარულსა და კეთილშობილებასში.

(გაგრძელება იხ. 41 გ.)



←რ. კეჭეკელი კომუნისტური ბრივადი

რ. ნოღია ფოტოს ნაესადგურში



მრავალი განსაცდელის შემდეგ (სხვათა შორის ყველა ეს ფაქტორი ასევე თეატრალურ-სანახაობითია, მაგ. ჯადოქრის ამოტყორცნა მიწიდან, ქვეყნის მთელი რიტუალები), ვარსკვლავებუნას ხასიათში ხდება ყველა ცული და უზნეო თვისების დათრგუნვა და ყველა სიკეთის აყვავება.

როგორც ითქვა, ა. გამსახურდია პიესის ყოველი მომენტის ვაზრებას თეატრალური საშუალებებით ცდილობს. ეს როგორც ორღესული მახვილივით სახიფათოა. რეისორმა ვასილ ყუმბატაშვილმა უკვე აღნიშნა გავ. „კომუნისტში“ და მეც მინდა აქ გავიმეორო, რომ ვარსკვლავებუნასა და დედის უკანასკნელი შეხვედრის სცენა (დაფერდებული გზის ორივე მხარეს ამოიზრდებიან ყვავილები და სინარული თრთიან) არა მარტო ამოვარდნილია სპექტაკლის საერთო სტილიდან, იგი ერთგვარი ეულგარული ნართულობით ცოტა არ იყოს, უსიამოვნო მიაბეჭდილებას სტოვებს. სპექტაკლის ავტორის მოიარებით უნდოდა გამოეხატა საერთო ბედნიერების წუთები, მაგრამ რაღაც მოუხეშავი მეტაფორა გამოუვიდა.

„კომეტა 8-2“-ში ბევრი რამ მშრალი და დიდაქტიური ა. გამსახურდიამ გააცოცხლა და თეატრალური ფორმა მიაჩნია. მარჯვედ არის გამოყენებული ტელევიზორის ეკრანი, რომელიც სპექტაკლში სხვადასხვაგვარ ფუნქციას ასრულებს. სცენის კიდეში, ხან მაღლა სივრცეში, ხან ქვევით იარუსებზე თანამიმდევრულად ინთება ტელევიზორის ეკრანი, დიქტორები სხვადასხვა ენაზე გადმოსცემენ კოსმოსური ხომალდის მოსალოდნელი კატასტროფის ამბავს. ეს თანამიმდევრობა ქმნის გარკვეულ რიტმს და, როცა

გგონიათ, რომ იგი საკმარისად დაიძაბა, რეისორი კიდევ პოულობს უკიდურესი სიმწვავის გამოსახატავ ხერხს... ერთის წაშთი კრება უკანასკნელი ეკრანი. სცენა ბნელდება და უცებ ყველა ეკრანი დარბაზის მთელ სივრცეში ერთდროულად განათდება და სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე დიქტორთა ყურისმომჭრელ ხმარში იგრძნობა კომეტის კატასტროფის საშინელი წამის სიახლოვე. შემდეგ ეს ეკრანი, როგორც ლოკალური ფერი ფერწერულ ტილოში, მეორდება. პიესის გმირები საჭიროების შემთხვევაში იყურებიან ტელევიზორში და როგორც ზღაპარულ სარკეში, ხედავენ მას, რისი ხილვაც სურთ, ანდა იხმობენ ხოლმე ვინმეს და ესაუბრებიან მას...

ა. გამსახურდიას უყვარს და ემარჯვება კიდევ სცენური სივრცის გამოყენება. მის სპექტაკლებში დეკორაციები მრავალხედავია, ერთდამივე დანადგარზე მრავალგვარ კომბინაციას ქმნის რეისორი, გვაწვდის მოქმედი ადგილის ახალ სურათებს. იმას თან ახლავს მიზნისცნების განლაგების მრავალგვარობა.

ორივე სპექტაკლს ნათლად ატყვია რეისორის მისწრაფება — რაც შეიძლება დასამახსოვრებელი, საინტერესო სურათი შექმნას ცხოვრებისა, ადრას მძაფრი ემოციები, გაუღვიძოს მასყურებელს ახალი აზრი, კეთილშობილური მოქმედების სურვილი — თეატრალურ-სანახაობითი ელემენტების ორგანული შერწყმის მეოხებით. შემდეგი სპექტაკლები გვიჩვენებენ, გააღრმავებს თუ არა იგი ამ ტენდენციას თავის შემოქმედებაში, თანამიმდევარი იქნება თუ არა იგი თავის პრინციპებში და რადენაღ ღრმავ მისი ინტერესები ამ სფეროში.





ქვის ბუღის რღვევა

ბორის ბახტაძე



ვენ გერ კიდევ ძალიან ნაკლებად ვიცნობთ სკანდინავიის ქვეყნების, კერძოდ, ფინეთის ქალაქისა და სოფლის ცხოვრებას, მის ადამიანებს, მათ ფსიქოლოგიას. ძირითადად ეს ნაქონობა ემაჯრება მთ ცოცხალ სურათებს, რომელთაც კავადის მხატვრული ლიტერატურა, ხელოვნება, კინო, თეატრი.

ამდნად ფრიალ მისასაღმებელია თბილისის ა. ს. გრიბოლოვის სახელობის თეატრის შემოქმედებითი ინიციატივა, რომელმაც მყურებელს უჩვენა თანამედროვე ფინელი დრამატურგის ჰელა ვუოლიოკის დრამა „ქვის ბუღი“ („ნიკაგუორის ქალბები“).

ჩვენ მივდივით სპექტაკლზე ლიტერატურული შთაბეჭდილებებით, ვინაიდან წინასწარ გავყვებით ჰელა ვუოლიოკის „ქვის ბუღის“ ტექსტს, რამელიც მწვენივრადაა თანამედროველ ენაზე გ. სტიუარტისა და ნ. სტაბაოვის მიერ. მთარგმნელს შეუძლია ნაწარმოების მაღალ ლიტერატურულ დონეზე გადამოქცევა. ფინელი დრამატურგი თავისუფლად ფლობს ენის გამომსახველობით საშუალებებს და პიესაში გვხვდება სხვადასხვა ენობრივი ფენა: სიმღერა მუკატონის რთობითი ლექსითა, ინტელიგენტ ადამიანის უფრო რთული მეტყველება (ილინა ალგრანი), ნიკაგუორის ქალბების ლაიდარული გამოქმედა, რომელიც ბიბლიის ენის სიმადრულედ ადის, როდესაც პინენსა და ილონას სიყვარულის წინაშე ქედმოხრობი ქალი, თავის კაბინეტში, განამარტობით იმეორებს სოლომონის ქებათა ქების უკვდავ სიტყვებს:

„რამეთუ ძლიერ კი მისი ვითარც სიკვდილი სიყვარული, ფრთხვლ ვითარცა ჯოჯოხეთი შური, ფრთხი მისა ფრთხვ ცხცხლის ალი მისი. არ ძალუც წყალსა მრავალსა და მრეტალ სიყვარულსა, და მდინარე ვერ წარღვლის მის. უკეთუ მისცეს კაცისა ყოველი მონაცხი მისი სიყვარულსა შინა, შეურაცკავითი შეურაცკავის გან“.

პიესის სრულქმნილი სცენური განხორციელებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ავტორისეული ტექსტის სწორად გაგებას, მისი იდეურ-მხატვრული შინაარსისა და დრამატული კოლონიების შემქმნარტ ვაზარებას. შეიძლება თითქმის, რომ რეჟისორმა მ. ოლმანიკიამ სწორად შეაითვისა ჰელა ვუოლიოკის პიესის ტექსტი. მისი ნამდვილი გაგება ვადასცა შემსრულებელთა თეულ კოლექტივს, რამაც ხელი შეუწყო ანსამბლური სპექტაკლის შექმნას, მის წარმატებას თბილისელ მყურებელთა შორის.

მაინც რას წარმოადგენს იდეურ-შინაარსობრივად ჰელა ვუოლიოკის „ქვის ბუღი“, რას ანახავს იგი და როგორია მისი პრობლემები?

1945 წლის შემოდგომისას უშმა უფრო პირქუშად შეხება ალიომა ჯაფარიძეს, მუხინს და იონიანს. მწვერვალის გაღიმებას არ ფიქრობდა. ჭუჭყიანი ცრემლებით სტიროდა და ბურუსში ხვევდა ავ განზრახვას. მასათვის ვიუტტი და მოუღრეკელი ალიომა თავისი ჯგუფით მელგრად მიიწვევდა წინ. მიუხედავად ცის ყველა მრისხანებისა, მათ მაინც შესძლეს ორივე მწვერვალის ფეხებზე მოქცევა, მაგრამ დაშვების დროს ბობოქარმა სტიქიამ, ალბამა, სულ ერთი წუთი მიუსწრო რომელიმე მათგანს ფენიუმარჯვებულად ადგილზე და, დარწმუნებული ვარ, სამივენი ერთმანეთის გადაჩრჩინის ცდის მსხვერპლი გახდნენ. უშბის დაუშრეტელმა მყინვარებმა დაიღეს ხანი უშბის მათი გაქეზული სხეულები, მაგრამ საბოლოოდ ეს სამი შესანიშნავი ვაკეკაცი სათავისოდ მაინც ვერ გაიშტეს და თორმეტი წლის შემდეგ დაუბრუნეს სამშობლოს. ისინი გამოჩნდნენ გულის მყინვარის მასივში გასული წლის ზაფხულში.

ამ მარცხმა ვერ გასტეხა ქართველი ალბინისტების ნებისყოფა. მას შემდეგ მათ არაერთხელ გაუთეღავთ როგორც უშბის წვერი, ისე სხვა მრავალი მწვერვალი, არაერთხელ უღიდებოდათ ღირსება საბჭოთა ალბინიზმისა და დედა სამშობლოს, ხოლო დღეს ქართველი ალბინისტების მთერ უშბის დაპყრობის 25 წლისთავზე განსაკუთრებული პატივისცემით იგსება გული იმათ მიმართ, ვინც პირველად გზა გაიკავა მისკენ, ვინც მსოფლიოში ცნობილი ქართული ალბინიზმის გარიყრასის პირველი მერცხლები იყვნენ.





პ. ხანაძე

ვაგ-ფაველა



ვ ერქობამუდღა

სიუბილეო საღამოზე.

ბ ა ლ ა კ ტ ი ო ნ ი ს ა ხ ლ ო

გიორგი ჩიქობავა

1. გალაკტიონი ჩვენსა



ოგორც ყოველთვის, გალაკტიონის მოსვლამ დღეს (26 მარტი 1950 წ.) ჩვენს ოჯახში დიდი სიხარული გამოიწვია. საყვარელი პოეტი ჩვეული თავზანიანობით მივსალმა ოჯახის ყველა წევრს. ერთხანს თავისუფალი საუბრით გვეკრებოდა. მერე გალაკტიონი და მამაჩემი საუერ მაგიდას მიუსდნენ და შეუდგნენ მასალების შერჩევას „რჩეულისათვის“¹. მეც იქვე ვიყავი და ზოგ რამეში ვეხმარებოდი მათ. მაგრამ ამას სხვათაშორისოდ ვაკეთებდი. ჩემთვის მთავარი იყო — დიდ პოეტზე დაძაბული დაკვირვება, თვალვალა, — ვცდილობდი მისი ყოველი სიტყვა, ნაკეთის ოდნავი მოძრაობაც კი აღბეჭდილიყო ჩემს მეხსიერებაში. ასე აღქმული შთაბეჭდილებები იმეგ დღეს ვადაქონდა ხოლმე ქალაქადუ და ამრიგად, წელთა მანძილზე დიდძალი საინტერესო მასალა დამიგროვდა.

აი ამ საგანძობრიდანაა ამოღებული ქვემოთ გადმოცემული ეპიზოდები.

უნდა აღინიშნოს, რომ მამაჩემი — ბენედიქტე ექვთიმეს ძე ჩიქობავა, 1946 წლიდან მოყოლებული, ერთგვარ თანამშრომლობას უწყევდა გალაკტიონს: უკეთებად ლექსების პუბლიკაციებს რუსულად, შეელოდა ახალ თუ წინათ დაწერილ თხზულებათა რედაქტირებაში.

მაგიღობე მიღებს 1944 წელს გამოცემული გალაკტიონის რჩეული და ის ტომეტიონს, რომელშიც მრავალი სიტყვასახეა გადასხვაფერებული, მოწესრიგებულია პუნქტუაცია, უსათაურო ლექსები დასათაურებულია, ნაწიენება დაწერის თარიღები.

ეს შესწორებები ფანქრითაა შესრულებული; რამდენიმე ადგილას გვხვდება გალაკტიონის საკუთარი ხელით ჩანაწერი სიტყვა-ფრაზები.

— თქვენ თვითონ ამბობთ, გალაკტიონს: „ნუ მიატყობს ლექსს უფოსტომოდ, დროის, ეპოქის და სივრცის ვარის!“...

და განა შეიძლება უთარილოდ ლექსის გამოქვეყნება? — შეინიშნავდა ხოლმე მამაჩემი.

გერ ურიგებოდა მამა აგრეთვე ლექსის უსათაურობას და ახალ რჩეულში შესატანი არა ერთი უსათაურო ლექსი იქნა „მონათლული“ გალაკტიონისა და მის მიერ. გალაკტიონი კმაყოფილებით გადაათვალიერებდა ხოლმე სწორებით აქრელებულ გვერდებს და სიამოვნებით იტყოდა:

— აი ხაზი კი ეს ლექსი უკეთ ძეგრს! უნდა ითქვას, რომ თითოეული შესწორება გალაკტიონის მხოლოდ კარგად ჩაფიქრების შემდეგ შექონდა, ნიუანსებს ბუტყელტით შეადარებდა ერთმანეთს და საუკეთესოს შერჩევდა, ხოლო იშვიათად დაიცავდა ძველ ვარიანტს, რასაც თვისებურ განხარტებას ვაკუთვებოდა. მასხოს, გამოთქვი აზრი, რომ ლექსში „მერი“ შეცვ-

ლილიყო ტაეი: „სანდომიან ცის ელვა და ფერი“, ვინაიდან პირველ ორ სიტყვას დეკლამატორები ჩვეულებრივ ტონად წარმოთქვამენ ხოლმე და გამოდის თითქოს სომხური გვარი „სანდომიანი“!

ამაზე გალაკტიონმა ბევრი იცინა და თქვა: — ძველ ლექსებში სიტყვების შეცვლას ძალიან ვერიდები, რადგანაც მათ ერთგვარი ტრადიცია აქვთ მკითხველებში... დარჩენი, როგორც არის...

იმ დღეს შედარებით ცოტა ხანს გაგრძელდა მუშაობა. დავილალოთ, — განახიდა გალაკტიონმა და ამის მიზეზი, ალბათ, ისიც გახდა, რომ ვერ შეეგუა დედაჩემის სათვალეს, რომლითაც კითხულობდა, რადგან თავისი არ წამოელო.

გალაკტიონმა და მამამ მუშაობას თავი გაანებეს და სასადილო ოთახში გავიდნენ.

— ვინც მოვიდა, გაუმარჯოს! — შესძახა გალაკტიონმა, როდესაც დედაჩემმა ბოთლებით ლუდი შემოიტანა. რადგანაც იმ ხანებში გალაკტიონი ღვინისა და სხვა მაკარი სასმელებისაგან თავს იკავებდა, ლუდით ვავუმასპინძლიდით.

დიდმა პოეტმა ოჯახის დიასახლის-მამასახლისის სადღერძელოები წარმოთქვა და მერე მე ასე მადღერძელო:

— 1950 წელი ნახევარი საუკუნის მიჯნაა და ასეთ დროს იწყება ახალი ძალების გამოჩენა პოეზიასა და ხელოვნებაში... ვისურვებ, ჩემო ვოკი, გამარჯულებას პოეზიაში!

ჩემი სამი ლექსი წამაკითხა (ერთი მათგანი რუსული იყო). არც ერთი სიტყვა არ გაარებოდა, რიტმის თავისებურებას საგანგებოდ აკვირდებოდა — მე რომ კვითხულობდი, იგი დირიგორით იქნებდა ხელს.

ჩვენი საუბარი ლიტერატურულ მიმართულებებს შეეხო.

მამაჩემმა 1927 წელს გამოცემული ფუტურისტების ქურხალი „მემარტენეობა“ (№ 1) მომანახინა. გალაკტიონმა წაიკითხა იქიდან რომელიღაც ლექსი და გადამდები სიცილის აუტყდა.

ჩვეიც ავეყვით. ვაგვიხარულდით.

— ბატონო გალაკტიონ, რომ არ გამართლდა დღეს თქვენს ერთ ლექსში მოცემული პროვოზი! — ვუბნებნი ხუმრობის კილოით.

— მიიწე?

— გიწყვით: „ხადაც უნდა შევიარო, ღვინოს დამამადუნებს!“...

— ასე სჯობია... საპასუხისმგებლო მომენტია... ბევრი სამუშაო მაქვს... — თქვა დინჯად და გაეღიმა თავისი მრავალმნიშვნელოვანი ღმილით.

როდესაც სიტყვა ჩამოვარდა მწერალ-პედაგოგზე, დედაჩემმა უახლო გალაკტიონს ზოგი რამ შესანიშნავი მწერლის ვაჟილი ბარონის შესახებ, რომელიც, უკვე მხცოვანი, დედაჩემთან — დარია მიხეილის ასულთან ერ-

¹ გალაკტიონის „რჩეული“, რომელიც 1954 წ. გამოიცა.



თად თბილისის ქალთა ეპარქიულ სასწავლებელში ყოფი-
ლა მასწავლებლად.

— მეც ყოფილი მასწავლებელი გახლავართ. სიამოვნე-
ბით ვიკონებ ჩემი ახალგაზრდობის იმ წლებს — თქვა გა-
ლაქტიონმა — მეც ძველი ბედაგოგი ვარ. შენ კი, ჩემო
გოგო — ახალი. შემდეგ ყველას გადავვხედა და ისევ მო-
ბარუნდა, — ამ სუფრასთან სამი ლენინის ორდენისანი
ვართ, მხოლოდ ხარ ჩვენ შორის უორდენო. შენც უნ-
და დაიხასხურო, ისეთი საქვეყნო საქმე უნდა გააკეთო. —
ჭიკა აიღო და მაღალი იდეების დაბადებისა და განხორ-
ციელების სადღეგრძელო თქვა.

სასუბარი თანდათან უფრო გაცხოველდა და რა და რას
არ შეეხო.

გალაქტიონ, როგორ იყო, პარიზში რომ მივსაც პოეტის
გაკრიქეთ? — შეეკითხა მამაჩემი.

— „პოო, ეს იყო 1936 წელს — დიმილთ დანიწყო გა-
ლაქტიონმა — მოვეცხენებათ, მაშინ პარიზში გახლდით
მწერლები ანტიფაშისტური კონგრესის დელეგატებად...
სხვათა შორის, ერთი პოეტი გვერია, მესხიერება მალა-
ქტონა, გვარი არ მახსოვს. პო-და, ამ კაცს თმაც ქაღალდა
ქონდა და მოშვებულა. თავისი ვაჩქრელი თმით ამაყობდა.
ღიახ, ამიტომაც ამოვიღეთ ნიშანში მისი თმა და ერთხელ,
როდესაც კაფედან შეზარხოშებულები გამოვედით, ვტა-
ციტ ხელი და გრძელთმიანი საპარიკმახეროში შევაბრთეთ.
იქნებოდა, არ გვენებდებოდა... ტლენკალითა და ხელმბის
ქნვეით იცავდა სახეზე წამოშლილ თმას, რომელსაც ეტყო-
ბოდა მაკარტელი არ ენახა. მაგრამ ვერაფერს გახდა...
პარიკმახერა, რომელსაც ჩვენც ვშველოდით. ჩინებულად
ჩაატარა ოპერაცია. ვადაკრეშოილი პოეტი გავგებურბა, და
სამიოდ დღე შტერივით დაბორილობდა დაკარგულ
„მშენებანზე“ მგლოვიარე.

უფითი პაუზის შემდეგ გალაქტიონმა განაგრძო:
— საბჭოთა დელეგატები თავისუფალ დრის კარგად
ვატარებდით... უფრო დავუახლოვდით ერთმანეთს... ჩვენ-
თან იყო მაქსიმ გორკი... დიდი მწერალი და მშვენიერი
ადამიანი. გორკი!.. გორკი!.. ძალიან მიყვარდა... იმ დღე-
ებში მე და გორკი ხშირად დსერიობდით ერთად. ერთხელ,
პარიზის ერთ პრესაპექტზე რომ მივიღეთ, უცებ ასეთი
ფანტაზია დაგვებადა: ქუჩის შუა ვაგეღებულ თეთრ ხაზზე
ზედ გავგებურბა. ხელჩაყიდებულნი მე და გორკი დაგადე-
ვით ამ ხაზს და ნელი ნაბიჯით გავგებურბეთ. წინ ბოლი-
ცილი შემოგვეყარა ერთი... მეორე... რამდენიმე მთავანი
ტროტუარიდან შემოგვეცქეროდა. მაგრამ არაფერი გვი-
თხრეს, არ დაგვიშალეს ახირებული საქციელი. ალ-
ბათი, მოგვერიდნენ, როგორც უცხოელებს, პატივი
ვეცეს...

გალაქტიონი მამაჩემისკენ გადაიხარა და სიცილით
უთხრა:

— იცი, ბენო, ამას წინათ გამახსენდა ეს ამბავი და
რუსთაველის პრესაპექტზე გავიარე სწორედ თეთრი ხა-
ზით — პარიზის ნომერი გავიმეორე! იმ წამსვე გამოჩნ-
დნენ მილიციელები... ჯარიმა რომ არ გადავხადე, უფროს-
თნ წაყვანა დამიპირებდა. წესრიგის გადაღება არ მახატეს.
მაგრამ უცბად შემომხევივნენ ჩვენი სტუდენტები: ვერ
იციანთ ჩვენი სახალხო პოეტიო, — ეუბნებოდნენ ანთებუ-
ლები. ვეფხვები არიან, ვეფხვები!..

ახალგაზრდობის გამოქომაგებას ძალიან გაუხარებია

მსკოვანი პოეტი და ეგ ისე ღრმად ჩაბეჭედა გულში, რომ
იმ ხანებში თურმე ბევრისთვის უამბინა ეს შე-
თხვევა.

როცა გალაქტიონს რომელიმე ახალგაზრდა პოეტის
ლექსი მოეწონებოდა პათეტურად მიმართავდა ხოლმე
„მეფხვი ხარ, ვეფხვი!“,

„ვეფხვი“ გალაქტიონის ცოცხალ მეტყველებაში თავი-
სებურად ჟღერდა. ვეფხვის სახეს, რომელიც ქართულ პო-
ეზიაში სიმშვენიერისა და სიძლიერის სიმბოლოა, პოეტი
თავისი მეგობრების შესაქებად, გასაზნუნებლად ხმარო-
ბდა, როცა მათი საქციელი მოეწონებოდა, მათი გამარჯვება
გაახარებდა. გალაქტიონის ბავით წარმოთქმული „ვეფხვი“
აღერსსა და სიყვარულს ავლენდა მკაფიოდ. ამიტომ იყო,
რომ პოეტისაგან „ვეფხვობით“ მიმართვა მის მეგობრებს
ეაშბოდათ, როგორც გულის სიღრმიდან ამომსდარი
წრფელი ქება, როგორც ძვირფასი მეგობრის ნობათი.

2. გალაქტიონი როდესაც წერდა

წერისთვის განწყობილი გალაქტიონი თავს განიშარ-
ტოვებდა ხოლმე. ყურადღებთა და ენერგიით აღტყინე-
ბული სახით, საშინაოდ გადაცემული მიუჯდებოდა თავის
საწერ მაგიდას, რომელზეც მოფანტული იყო წიგნები,
ჟურნალ-გაზეთები, ხელნაწერები, და ერთთავად ჩაეფუ-
ბოდა ქაღალდებში.

მთელი დღობით არავის ღებულობდა, ტელეფონსაც
კი გამოთიშავდა. მარტო ოჯახის წევრები თუ შევიდო-
დნენ მასთან ფეხბარფით, რომ საჭმელი შეეტანათ. დამა-
ვრალი პოეტი ცოტას ჰმანდა, მეტწილად მაყწინთა და გა-
ლექითი ქმაყოფილებობადა.

სიამაყის გრძობით უნდა აღვნიშნო, რომ მუშაობაში
გართობი გალაქტიონის კაბინეტის კარები ყოველთვის
ღია იყო მამაჩემისა და ჩემთვის — ჩვენ მასთან მისვლის
მუდმივი „ვიზით“ ესარგებლობდით.

რამდენჯერ მინახავს, რომ გალაქტიონის კაბინეტში
ფანჯრის დარბაზ მიხურული იყო და ბნელით მოსულ
ოთახს საწერ მაგიდაზე დადგმული ერთი ან ორი სტეა-
რინის საწთელი ანათებდა. შთავონებული პოეტი წინწა-
რილი იჯდა და გამალბებით წერდა. საწთლის მოლიცი-
ცე შუქი მის მაღალ შუბლს აკრთალ ნათლს ბუნდა და
ერთგვარ რომანტიკულ რიდედ ებურებოდა იქუ-
რობას.

განა უწყნარობა არ იყო, რომ ელექტრონისა და ატო-
მის ეპოქაში სინათლის პრიმიტიულ წყაროს იყენებდა
დიდი პოეტი უცვადვი სტრიქონების წერის დროს ჩვენს
გაკავაშებულ თბილისში!..

ეგ თავისი საკვირველი საქციელი პოეტმა ასე ამიხსნა:
— სინათლის შუქი მყუდროებასა და სიმშვიდეს
მგერის, — მხოლოდ ვიჭრო არეს ანათებს ჩემ ირგვლივ
და ამიტომ ნათლად მარტო საწერ ქაღალდს ვხედავ და
მასზე ვახდენ მთელი ჩემი ყურადღების კონცენტრაციას.
ისიც უნდა ითქვას, ახალგაზრდობაში სულ ასეთ სინა-
ლზე ვწერდი... საბჭოთაში: ჩვეულება რჯულზე უტყი-
ცესიაო.

ოლიმიცილის განსახიერება იყო გალაქტიონი შე-
მოქმედების მომენტში ან, მისივე სიტყვებით რომ
ვთქვათ, „სულის ცეცხლად განაქცივის“ დროს, და მის
შემხედვარეს უნებლიეთ მასხენდებოდა ხოლმე მისი ლექ-



სი „შემოქმედება“, განსაკუთრებით ის ადგილი, სადაც ბოუტი ასე გადმოკვეცენ თავის განცდებს, როდესაც იგი შემოქმედების ბათონში იწყობება:

„ვბრძანებ: ტვის შვირნი გაჩუმდება
ნელი ნიავი,
ვოტვი და თროლოდა გაღქცვა
ვირხის ფოლოლი...
მზე ჩემთვის ბრწყინავს და მძევ ვარ
ყოვლისმომქმედი,
პარ-მიღვეო ნეტარების
ცრემლით ივლება,
ჩემს ხელში არის მამის ჩემი
მჭინვარე ბედი,
ქვეყნად ყოველი არის სული
შემორჩილება“.

ზოგიერთებისაგან რამდენჯერ მსმენია, რომ ვალაკტიონი ვითომ მაგარი სასმელებით იწვევდა ბოუტურ შთაგონებას — ვითომ ნასვამი წერდა. ეს, მეტი რომ არ ვთქვათ, გაუგებრობაა.

მართალია, ჩვეულებრივი წაქეფებისას ვალაკტიონის ხშირად წამოუსვრია ლირიკული სტროფი, ღრმავარდნი აფორიზმი თუ მოხდენილი ეპიგრამა, მაგრამ ეს იმას როდღე ნიშნავს, რომ ბოუტის „მუზის გამოსაწვევად“ დაღუპვა ესაპირებოდა. ის შესანიშნავი სტრიქონები, რომლებსაც ვალაკტიონი ექსპრომტად ქმნიდა, დიდი ტალანტის ბრწყინვალე გამოხსივება იყო მხოლოდ.

მაგალითად, ქუთაისიდან მატარებლით მომავალმა ბოუტმა ვიდაცას ბაპროსის კოლოფზე წაუწერა:

„წყაღტუბოდან ქუთაისში მიმავლო ქარი,
თუ მაისი ქუთაისმა გითხოს — ვინა ხარი,
უხასუხე, რომ სუნთქვა ხარ, არ კი უთხრა — ვისი:
ისევ იგრძნობს ქუთაისი, ჩემი ქუთაისი!“

უცნობმა მაგვარმა ძვირფასი წარწერა ჟურნალ „მნათობის“ რედქციაში მიიტანა; იქ ვალაკტიონის ხელი იცნეს და დაბეჭდა. შემდეგ ეს ლექსი ხალხმა აიტაცა და სიმულერად აქცია.

ვალაკტიონის ექსპრომტის ამგვარი უსადარო ნიმუშები მაინც მხოლოდ ბოუტურის ნაეჭურელებია, ხოლო თავის უკვედაც თხზულებებს დიდი ხელოვანი ზემოთ აღნიშნულ საკანგებოდ შექმნილ ბირობებში და დამწვიდებული სულიერი განწყობილების ქვეშ წერდა.

დილისტატ ბოუტისათვის დამახასიათებელი იყო აგრეთვე უზარალო საწერი ხელსაწყოთა და უზარალო ქაღალდის გამოყენება. ჩვეულებრივ ვალაკტიონი წერდა ბლაგვი, ულაზათოდ წაითლით ფანქრით ამ მოქმედებული ავტომატური კალმისტრით.

— კარგი ხარისხის ქაღალდზე კარგი ლექსი არასდროს არ დამიწერია. უზარალო „ლოსკუტოკზე“ უკეთ ვწერ, ასე მაქვს დაცდილი. — იტყოდა ხოლმე ვალაკტიონი ღიმილით.

ამასთან დაკავშირებით მახსენდება 1951 წელს დაწერილი ვალაკტიონის ლექსი „ქაღალი“, რომლის გამოქვეყნება საკამათოდ გახადეს ვიდაცეებმა მხოლოდ იმიტომ, რომ აქ ქარაგმის ენით გაწკეპილია (და მართებულადაც) უნიჭო მგლანელები.

ქაღალი და მასთან ერთად უზადრუკი ავტორი ფიქტურაა, რომს,

„რომ ყოველივე
იწყება მისით,
თავდება მისით!“

ნამდვილად კი ნაწერის ღირებულება დამოკიდებულია დამწერზე, შემოქმედზე და არა ქაღალდზე:

„ქაღალი მრავალს
ჩინს მაროფანს,
ქაღალი მოდის
რაგინდარაფერი:
იყო, არის და
ჩრება დარბაზ...
სწერთ? ქაღალდია,
სხვა არაფერი!“

სიტყვამ მოიტანა — მეტად საკულისხმოა, რომ ამ პატარა, ოცდაოთხტაბიანი ლექსს ვალაკტიონმა შედარებით დიდი დრო მოანდომა, რამდენჯერმე გადააკეთა, ათობდე დღე თვალწინ ელო საწერი მაგიდაზე სხვა გასაჩაღს ხელნაწერთა შორის. ხოლო ცნობილია, რომ ბოუტი როგორც ახალგაზრდობაში, ისე მსცხოვანობისას დიდი ტემპით წერდა. ვალაკტიონის გადმოცემით, თავისი პირველი ლექსთა კრებული, რომელიც 1914 წელს გამოიცა, რაღაც ორი კვირის განმავლობაში გაამზადა დასაბეჭდად, მასთან მთელი რივი ლექსები ახლად დაწერა, ხოლო ბევარი, უკვე გამოქვეყნებული, საფუძვლიანად გადააკეთა. ასევე მოკლე დროში (ერთ კვირაში) დაწერა ვალაკტიონმა 1950 წელს ცრეკლი პოემა „აფთქება“, რომელიც ძლიერ შემოკლებით დაიბეჭდა მის თხზულებათა VII ტომში.

3. როგორ იშვა „მთაწმიდის მთვარე“

1915 წელს ვალაკტიონ ტაბიძესა და გიორგი ქუჩიშვილს ქალაქ ფოთის მუშებმა შეხვედრა მოუწყვეს. წინა დღით ბოუტებმა დათვალდირეს კოლხიდის მშენებმა ფოთი და პალიასტომის ტბის შემოგარენი. დამის ვასათევედ ერთი მუშის ბინაზე მიიწვიეს ორიგენი და ცალკე ოთახი დაუთმეს.

ვალაკტიონის ძილი არ ეკარებოდა. მეზობლად ვიღაც გაბნობი აღრიალებდა გრამაფონს ერთი და იმავე გაცევილილი რომანსით.

გიორგიმ რამდენჯერმე უთხრა, სინათლე ჩააქრე და დაიძინეო, მაგრამ ამაოდ.

ახალგაზრდა ბოუტი ფიქრმა გაიტაცა. ქართულ ბოუტებს მომკაცდავი გედის სიმღერის თემაზე, მგონი, არაფერი დაუწერიათ... სიცოცხლეში გული მხოლოდ ერთხელ მღერის... ისიც სიკვდილის წინ... მხოლოდ მაშინ ებადება თავისი სიმშვენიერისა და სილალის განცდა... იფიქარი მოგვანა ბუნებაში... ქართულადაც უნდა ითქვას ეს ბოუტური სიტყვი... ამ ოცნებამ შეიპყრო მკოსანი, და საქართველო ჩამოწვრიდა თოთხმეტარცვლოვანი ტაბეტი.

ლექსი გრეკელი გამოვიდა, ხოლო გრამაფონის ფორფიტადან ვადამღერებულ, ვადმოქართულდებულ ბაროდიას წარმოადგენდა.



— არ დაიძინებ, კაცო?! — ერთი ბირი ძილის მოთავეების შემდეგ უკმაყოფილოდ შეგითხა გოგორგი.

— მაყალე, თუ ძმა ხარ! — ჩაბოტბოტა გალაკტიონმა და ლექსის განაღბვას შეუდგა.

სტრიქონები გადაიკაზმა, ზოგი ზეფით ავიდა, ზოგმა ქვევით ჩაიწია. შავი ხაზებით გადასვრა რამდენიმე სიტყვასზე და ტაქტი. ლექსი უხვად იქნა შემკობილი ნატიფ მეტაფორა-ეპითეტ-მეტაფორებით.

ასეთ მოსაპირკეთებელ მუშაობას ცოცხლად წარმოიდგენს ის, ვისაც პოეტურ შემოქმედებით წყაბათან ერთად განუცდია წვალება, რაც თან სდევს მოხდენილი სიტყვის მინახვას.

* * *

გრამაფონი უკვე სადუმდა.

ლექსიწყოება, რიტმი იგივე დარჩა, მაგრამ შინაარსი გადასხვაფერდა. სწორუბოვარი შემოქმედის მიერ ობოლ მარგალიტთა მძივებად იქნა ასხმული მომიზნოვანი მხატვრული ნახევები. თაიგულივით შეიკრა პარამონა ბეგრები-სა. შეიცვალა ლექსის მოტივიც. პოეტის წარმოსახვაში გასხივონდა თბილისისა და მთაწმიდის პროფილები, ცისფერი ლანდები, მტკვრისა და მეტეხის თეთრი ელვარება, აკაკის ლანდი, ბარათაშვილის „ობლად სიარული“ — და ყველაფერი ეს, მთვარის „შუქში გახვეული მუბუქ სიზმარივით“, განსახიერდა ლექსში, რომ ქართული სიტყვის სამარადისო ძეგლად აღმართულიყო.

მთვარიან დაღმეშ მოთილისს პიუზაჟი თავისი მთაწმიდით, მტკვრითა და მეტეხით როსანტიკულ ფერებში წარმოესახა მომაკვდავ გელზე რომანსის შთაბეჭდილების ქვეშ მყოფ პოეტს და მის ზღაპრულ სიმძაფრით დაისვა სიკვდილის პრობლემა. შემოქმედი ჩასწვდა „თუ დაემეხსულეში როგორ ჩაიხედა“ და მთვარიანი ღამის პიუზაჟი და თავისი ფიტრები სიკვდილის ირგვლივ შესანიშნავ ლექს-სიმფონიად გადმოაფრქვია:

„ჯერ არასდროს არ შობილა მთვარე ასე წყნარი
მღუმარებით შემოსილი მდღამების ქნარი
ჭროღვით იწვევს ცისფერ ლანდებს და ზებეში აქსოვს...
ახე ჩემო, ახე ნახე ჯერ ცა მე არ მახოვს!..
...და შეც მოკვადე სიმღერების ტბის სედიანა ბიდად,
ღოღოდ ვთქვა, თუ დაემეხსულეში როგორ ჩაიხედა,
თუ სიზმარა ვით შეისხა ციდან ცამდე ფრთებიც,
და გაშალა ოცნებათა ლურჯი იაღვრები...
...სიკვდილის გზა არ-რა არის, ვარდისფერ გზის ვარდა;
რომ ამ გზაზე ზღაპარია მგოსანთ სითამავე,
რომ არასდროს არ უყოფლა ასე ჩემი ღამე,
რომ, აჩრდლნო, მე თქვენს ახლო სიკვდილს ვიხეებები,
რომ მეფე ვარ და მგოსანი და სიმღერით ვკვებები,
რომ წაყვება საუფუნეს თქვენთან ჩემი ქნარი...
ჯერ არასდროს არ შობილა მთვარე ასე წყნარი!“

ხატოვანობითა და ემოციის სიმღვირით ეს სტრიქონები გენიალური ხელოვანის ისეთივე ჯადოსნური სუნთქვაა, როგორც ბუთოიენის „მთვარის სონატა“, რომლის პანეგები და გალაკტიონის პოეტური დეტყველება თანაბრად საუცხოო ჩუქურთმებს ქმნიან ამისა და მთვარის ფონზე.

გალაკტიონმა იცის, რომ სიკვდილი ყველას მიმართა უღძობელია, რომ ის დიდ მგოსნებსაც არ იხდობს. ამით ჩვენი ვაუტის დიდი ბოეტი ენაბურება გენიალური წინაპრის შოთა რუსთაველის სიბრძნეს:

„ვერ დაიპირავს სიკვდილს გზა ვინო, ვერცა კლდოვანი;
მისგან ვაწარდეს ყოველ სუსტი და ძალგულოვანი“...

და სიკვდილის შიშს უქრობს, მხნეობას უნერგავს ადამიანს აოეტის ფილოსოფიური თქმა:

„სიკვდილის გზა არ-რა არის, ვარდისფერ გზის ვარდა“...

* * *

„მთაწმიდის მთვარის“ შექმნის პროცესი ბოეტური შემოქმედების ფსიქოლოგის თვალსაზრათით დიდად საინტერესოა. ლექსის დაწერის იმპულსი მისცა პოეტს, როგორც ზემოთ ითქვა, რომანსის დაკარგა გრამაფონზე — მომაკვდავი გულის სიმღერამ სიკვდილის პრობლემა წამოაყენა მის წინაშე.

სიკვდილზე ფიქრი პოეტის წარმოსახვაში იმ დღეს ზღვისპირა ქალაქში ნახულ-გაგონილს დაუკავშირა, რა-ზეც გვანიშნებს ლექსში ნახშირი სიტყვები: ზღვა, ტბა, იალქნები და, განსაკუთრებით, მომაკვდავი გელი.

ამავე დროს სიკვდილის ფიქრით გართულ პოეტს თვალწინ წარმოუდგება დიდ ქართულ პოეტთა ბანთონი — მთაწმიდა. „აქ მწუხრდა“ სასაფლაოში „მეფეთი ძილით“ სძინავთ აკაკი, ბარათაშვილს... სიკვდილს მათთვისაც სახე შეუცვლია — „სიკვდილის სიახლოვე როგორ ასხვავებებს“ ყველას. მამ სიკვდილის „გზაზე ზღაპარია მგოსანთ სითამავე“. მაგრამ, არა! პოეტი ქედს როდი უხრის სიკვდილს და გაკაკუტრად აცხადებს: „მეფე ვარ და მგოსანი და სიმღერით ვკვებები“.

ამირიადე, მიუხედავად ლექსის საერთო სედეიანი ტონისა, მის აქცენტს პოეტის მებრძოლი ხმა ქმნის — სიკვდილის საშინელება დაძლეულია.

* * *

უკვე განთიადმა მოატანა, როდესაც ბირვანდელი სათაური „მომაკვდავი გულის სიმღერა“ წაიშალა და ჩამოყალიბდა ახალი — „მთაწმიდის მთვარე“.

მეორე დღეს ფოთელი მუშების მიერ მოწყობილ შეხვედრაზე გალაკტიონმა პირველად წააკითხა „მთაწმიდის მთვარე“, მეორედ კი — თბილისში, ორიგინალურ კონტრესზე. სადაც ამ ლექსით ალტაღველმა ქართულმა პოეტებმა მას პოეტთა მეფე უწოდეს.

დიღოსტატ პოეტს ყველაფერი გამოაღებება თემად, მასალად, შემოქმედებითი შთაგონების საბაბად: აწმყო და წარსული, მუსიკა და საუბარი, მოსწრებული რეპლიკა, უბრალო ამოხვრა, მრავალჯერ ნანახის კიდევ ერთხელ ხილვა თუ გაცეცხილი რომანსის პანეჯი, რასაც ნათელყოფს ზემოთ ნათქვამი — გალაკტიონის „მთაწმიდის მთვარის“, ამ ქართული პოეზიის შედევრის, შექმნის ამბავი.

(გაგრძელება იქნება)



ნაქალაქარი ურზნისი

პარმენ ზაქარაია



აქართველოს ტერიტორიაზე ათასი წლების განმავლობაში მრავალი ქალაქი წარმოშობილ და დაღუპულა. ერთ-ერთ ასეთ ნაქალაქარს წარმოადგენს ურზნისი. იგი მდებარეობს ქართლში, მტკერის მარცხენა ნაპირას, მისი ტერიტორიის ნაწილი ამჟამად სოფელ ურზნისს უკავია (ქარელის რაიონი).

ძველი ქალაქების შესწავლა ჩვენი ამ ოციოდე წლის წინათ დაიწყო და დღესაც წარმატებით გრძელდება. ქართველი ხალხის წარსულის, მისი კულტურის დასადგენად ბევრი რამ მოგვცა ისეთ ქალაქთა თუ ციხე-ქალაქთა გათხრებმა, როგორც იყო მცხეთა, წიწამური, ბავანეთი, სარკინე, რუსთავი, ბიჭვინტა, ვაშარი, დმანისი, გრემი და სხვა. მიუხედავად შესრულებულ სამუშაოთა ასეთი დიდი მასშტაბისა, გასაკეთებელი ბევრად უფრო მეტი დავერჩა. ამ დიდ მიზანს ემსახურება 1953 წელს აკადემიკოს ნ. ბერძენიშვილის მიერ წამოწყებული ურზნისის გათხრებიც.

ურზნისს, როგორც ქალაქს, ქართული საისტორიო წყაროები ასახელებენ ძვ. წ. IV საუკუნის ბოლოდან (ლეონტი მროველი¹, ვახუშტი ბაგრატიონი²). დღეს ისტორიულ მცენიერებაში ეს ცნობა მიღებულია. რადგან აღმოსავლეთ საქართველოში მონათმფლობელური სახელმწიფოს წარმოქმნას თან სდევდა პირველი ქალაქების წარმოშობაც.

ურზნისთან ერთად პირველ ქალაქებს შორის იხსენიება: მცხეთა, კასპი, რუსთავი, ხუნანი, უფლისციხე იმ დროის აღმოსავლეთ საქართველოში, პირველ რიგში, ხელს უწყობდა სოფლის მეურნეობის, ხელოსნობისა და ვაჭრობის აღმავლობა.

ამასთან ერთად ქალაქების განვითარების საქმეში უთუოდ გარკვეულ როლს ასრულებდა მსოფლიო მნიშვნელობის ის დიდი სავაჭრო გზა, რომელიც გადიოდა ჩვენი ტერიტორიის ცენტრში (სტრაბონი, პლინიუსი უფროსი). მართლაც, იბერიის სამეფოს ტერიტორიაზე ქალაქების დიდი უმრავლესობა მდ. მტკერის სანაპიროებზე იყო გაშენებული.

ამ შეიღვე წლის განმავლობაში ურზნისში წარმოებულმა გათხრებმა არა მარტო დადასტურებს წერილობითი წყაროების ცნობები, არამედ ბევრი სრულიად ახალი ფურცელი გაღამავლეს მცენიერების წინაშე.

ენოლოგიის გამოქვიდან დაწყებული ურზნისისა და მის მიდამოებში ჩანს ცხოვრების უწყვეტი კვალი. ამას ადასტურებს ე. წ. „ხიზანანთ გორისა“ და ურზნისის აღმოსავლეთით ორიოდ კილომეტრზე მდებარე „ქვაცხელის“ გათხრები. ამ მხრივ უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს „ქვაცხელს“. აქ მოპოვებული მრავალფეროვანი მასალა შეუძლებს გვის ხანდიდან ლითონის ხანაზე გარდამავალ ეპოქას, იმ ეპოქას, როდესაც ადამიანმა უდიდესი აღმოჩენა მოახდინა — ლითონს მიაკვლია.

ძმენებლობის ისტორიის თვალსაზრისით „ქვაცხელე-



ალბის კოშკი

ბი“, პირველი ძეგლია, სადაც სრულიად გარკვევით ჩანს ქართლში „გლეხის დარბაზის“ საწყისები. სასოფლო საცხოვრებელი სახლის იმ ტიპამ, რომელმაც საქართველოში XX საუკუნემდე მოაღწია, საფუძველი ჰყოფა არა მარტო ანტიკური პერიოდის ძეგლებში, არამედ რამდენიმე ათასი წლით უფრო ადრე.

იმხანად გაგრძელებული გორებზე დასახლებიდან, თანდათანობით განვითარების შედეგად, ერთი მათგანი ხდება მომავალი დიდი ქალაქის საფუძველი. ასეთია კერძოდ ურზნისის ტერიტორიაზე მდებარე „ხიზანანთ გორა“, რომელიც მოთავსებულია თითქმის ნაქალაქარის ცენტრში, მდინარის პირას. აქაურ მოსახლეთა ერთი სამარხი ნაპოვნია ნაქალაქარის დასავლეთის მონაკვეთში, ხოლო შემდეგი პერიოდის (გვიანი ბრინჯაოს ხანის) რამდენიმე სამარხი მიკვლეულია აღმოსავლეთ ნაწილში. აქ გამოირჩევა ბელადის სამარხი. ბელადი არარეველებრივი ძვალმსხვილი მამაკაცი ყოფილა, ალბათ, ბრძოლაში ფეხი მოუტეხია და უსწორად მიზრდილი წვივით კიდევ კარგა ხანს შეუღალანია; გარდაცვალების შემდეგ მისთვის შეუბან ეს ერთად ხელისუფლების სიმბოლო — კვერთხი და ხელოვნების თვალსაზრისით მშვენიერად დამუშავებული ირმის რქა ჩაუტანებიათ.

ადრე ანტიკური პერიოდის უნდა აღინიშნოს ნაქალაქარის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში ნაპოვნი სამარხი. დაკრძალულობისთვის შეპირილა კერამიკასთან ერთად თან ჩაუტანებიათ ოქროს დიდი საკინძი, რომელსაც თავი ექვექიმიანი ვარსკვლავითი ლეღს დაამუშავებული, და ოქროსავე მძივი.

ჩვენი მერის დასაწყისში, გვიანანტიკურ ხანაში, ქალაქი საკმაოდ ელიდარი და მრავალრიცხოვანი ყოფილა. ამას ადასტურებს ნაქალაქარის სხვადასხვა ადგილას მიკვლეული სამარხები, ყველაზე მეტად კი — აღმოსავლეთით მდებარე სამაროვანი.

¹ ქართლის ცხოვრება, 1955, გვ. 10, 17.
² ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1941 გვ. 78.



გვიანი ბრინჯაოს პერიოდის თიხის ქურჭელი

ამ სამაროვანზე მონაპოვარი მასალის მიხედვით სრულიად ახალ ასპექტში გამოიყურება ქართლის შუაეულში მდებარე ანტიკური ქალაქი ურზნისი. საყოფარო ძლიერ წარმოებასთან ერთად მას მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობა ჰქონია ხმელთაშუაზღვის ირგვლივ მდებარე, მაშინდელ მოწინავე ქვეყნებთან. სამარხებში, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია მინის ქურჭლის სიუხვე და მრავალფეროვნება. ქურჭელთა დიდი უმრავლესობა ადგილობრივია, დანარჩენს მრავალდ მოეპოვება ანალოგიები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. შემოტანილი მინაც მალღახარისხიდანია.

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ მინის ქურჭელთა ერთი ნაწილი ხელოვნების ნიმუშს წარმოადგენს.

ამ I-III სს სამაროვნის სამარხეული ინვენტარი უმთავრესად სამკაულებითა და საოჯახო ნივთებითაა წარმოდგენილი. ამ სამკაულებიდან პირველ რიგში აღსანიშნავია ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოს, რკინისა და მინის ბეჭდები, რამდენიმე ათეული ბეჭედი ძვირფას ქვებზე ამოკვეთილი გემუბითაა შექმნილი. გემუბზე იშვიათი სინატიფითაა ამოჭრილი ანტიკური სამყაროს ღვთაებები, ფრინველები, ცხოველები და სხვ. ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ ქალღმერთი ათინა, სარდიონის მოზრდილ თვალზე ამოკვეთილი არწივი და სხვა. საერთოდ, ურზნისის გემუბების ერთი ნაწილი სამთავროს, არმაზისხევის, კლდეეთისა და სხვაგან მიკვლეულთ გემუბთა ანალოგიურია.

გვიანი ბრინჯაოს პერიოდის რელიეფიანი ირმის რქა



სამაროვანში დიდძალი სხვადასხვა მასალისა და ფორმის მიხედვით და მიხვსაკიდებია ნაპოვნი. კერძოდ აქ აღმოჩნდა გრანატის, აქატის, სარდიონის, გიშრის, ქარვის, მინის, ასტის, მიწისებრი პასტისა და ძვლის მიხედვით. მივითა ერთი ნაწილი მცენარეული და გეომეტრიული რელიეფებითა და მუშავებული, ზოგი კი გარეული და ზღაპრული ცხოველების გამოსახულებას წარმოადგენს.

გრანატის მიხედვით 14-წახნაგაა, კარგადაა დამუშავებული. აქატის მიხედვით კასრისებრია, მოთეთრო ზოლებით. სარდიონის მიხედვით სხვადასხვა ფორმისა და კარგად გაპრიალებული. რაოდენობით ყველაზე მეტი და მრავალფეროვანია გიშრის მიხედვით, ბევრია მინისა და მინისებრი პასტის მიხედვით. მინისებრი მიხედვით ზოგი თვლებითაა, ზოგი კი მონახტულია, ნაწილი მოოქროვილიც ყოფილა.

იქვე აღმოჩენილ ნივთთა შორის მრავალია კონუსის ფორმის, რკინის ენაში ბრინჯაოს ზარაკები. არის აგრეთვე სფერული ფლარუნა ბრინჯაოს ძეწვეით. აღმოჩნდა რამდენიმე ბრინჯაოს სარკეც.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ოქროს რამდენიმე საშუალო გვირგვინი ანუ ხორი. გვირგვინის შემადგენელი ოქროს თხელი ფურცლები ფოთლებისმავგურია.

აქვე ბლომადაა ნაპოვნი ანტიკური წითელბარადა და შავბარადა ქურჭელიც. საინტერესოა ღია წითელი ზოლებით სქემატურად მოხატული ქურჭლები.

კერამიკა ძირითადად წარმოდგენილია ხელადებით, დოქებით, ფიადებით, კოჭობებით და სხვა საოჯახო ინვენტარით.

საინტერესოა აგრეთვე იქვე აღმოჩენილი შავად გაპრიალებული კერამიკული იხვის გამოსახულება. ქანდაკებრივი გამოსახულებიდან ასევე აღსანიშნავია ცხენებისა და ცვგრის გამოსახულებათა ფრაგმენტები.

მიუხედავად იმისა, რომ ურზნისში აღმოჩენილი ამ პერიოდის მცირე ქანდაკებები სქემატურადაა დამუშავებული, მათში მაინც აშკარად ჩანს შემქმნელის ალღო და ექსპრესია.

ანტიკური პერიოდის ქალაქ ურზნისის საზღვრები, დასახლებების თავისებურებანი და სხვა მხარეები III-IV საუკუნეების მიჯნაზე სწრაფად მზარდ ქალაქს თითქმის წაუშლია. ამ პერიოდის ქალაქს მეტად დიდი აღმავლობა ეტყობა. ის რადიკალურად იცვლის სახეს, ხდება მისი რეკონსტრუქცია დიდი მასშტაბით.

ქალაქი თითქმის ვაკეზე ყოფილა გაშენებული. ბუნებრივი დაცვა მას მხოლოდ მტკვრის მხარეს, სამხრეთიდან ჰქონია. საჭირო გამხდარა დანარჩენი მხარის შემოზღუდვა. მაშინდელი მოსახლეობა დიდი ყოფილა, ამიტომ 23 ჰექტარი შემოფარგლავდა. ასეთი ფართობი იმდროინდელი ქალაქისათვის საკმაოდ მოზრდილად ითვლება. მდინარის მხარეს. იქ, სადაც კლდეანი ფლატის სიმაღლე 25 მეტრს აღწევს, დაკმაყოფილებულან სამმეტრიანი სივანის ალიზის კედლის აგებით, ხოლო დანარჩენი მხარე მშვიდილი-სებრ ყოფილა მორკალული. რადგან ამ მხარეს საშისროება მეტი იქნებოდა, აღუმართავთ კომუნიანი ზღუდე. ზღუდის სივანე 4,5 მეტრია, ხოლო კომუნიის ცენტრებს შორის მანძილი საშუალოდ — 65 მეტრი. მთელ რკალზე 20 ასეთი კომუნი უნდა მდგარიყო.

ქალაქს ერთი შემოსასხლეელი მდინარის მხარეს ჰქონია, მეორე — ჩრდილოეთით. როგორც აღვნიშნეთ, მაშინ


დიდი მნიშვნელობის სატრანზიტო გზა მტკვარს მიჰყვებოდა. იქვე ნაქალაქართან არის ერთი ნახილური. ამ ხილის გავლით გზა პატარა ხევით ქალაქის ალაყაფის კარგბს მიაღებებოდა, მეორე ალაყაფის კარი დაახლოებით იქ უნდა ყოფილიყო, სადაც დღესაც არის ჩრდილოეთიდან სოფელში შესასვლელი. ამ გზით იგი უშუალოდ უკავშირდებოდა ქალაქის მიმდებარე სოფლებს, თუ ამ მხარეს მყოფ სხვა ადგილებს.

როგორც ცნობილია, საქართველოში კარგი ხარისხის საშენი ქვა ბლომადაა. ამიტომ ქართული არქიტექტურაც ძირითადად ქვის არქიტექტურაა, მაგრამ ანტიკური პერიოდის აღმოსავლეთ საქართველოში ალიზს (გამოუწვავ აკურს) ხშირად მიმართავდნენ. ადრე ხანაში ასეთი მასშტაბით ალიზის გამოყენება ნაწილობრივ კირის დუღაბის უქონლობით აიხსნება, ხოლო პირველ საუკუნეებში — იმავე დუღაბის სიმცირით. შუა საუკუნეების დიდ ნაგებობებში ალიზს გამოიყენებდნენ შემთხვევაში იყენებდნენ. ანტიკური პერიოდის იმერიის ქალაქების გასამაგრებლად ალიზი გამოიყენებულა მცხეთაში, არმაზციხეში, წიწმურში, სარკინეში, გორში და სხვ.

ურბნისის ზღუდეზე განლაგებული კომპლექსის ნაწილმა ჩვენამდე მოაღწია. დღემდე გათხრილის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, კომპლექსი არ ყოფილა ერთგვაროვანი. რკალის ბოლოებში მდგარი კომპლექსი და ალაყაფის კარბან მდებარე კომპლექსი დანარჩენებზე რთული და მასიური უნდა ყოფილიყო. მაგალითად, სამხრეთ-დასავლეთის ბოლოში მდგარი კომპლექსი სხვადასხვა ზომის და დანიშნულების ექვსი ოთახისაგან შედგებოდა, ხოლო ერთ-ერთ შუა კომპლექსში მხოლოდ ორი ოთახია. ხუროთმოძღვარს დიდი კომპლექსის გეგმა გონივრულად აქვს მოფიქრებული. კომპლექსი ქალაქიდან მხოლოდ ერთი შემოსასვლელი აქვს. კარიდან შეიძლება მოვხედვით განვანაწილებულ ოთახში, საიდანაც შეიძლება გადასვლა როგორც დარბაზებსა და ოთახებში, ისე ბანუ და საბრძოლო ბილიკზე ასევე კედელში მოწყობილი კიბით. ოთახების გარე კედლებში ვიწრო სამხურებია მოთავსებული, ხოლო მალა სარკმლებია განლაგებული. მტრისაგან თავდაცვა ხდებოდა არა კომპლექსის შიგნიდან, არამედ ზემოდან: კომპლექსის ბანიდან და კომპლექსის შემოღობულ კედელზე გამავალი საბრძოლო ბილიკიდან. როგორც ანალოგიურ შემთხვევებში სხვაგან, ისე აქაც ბანსა და ზღუდეს გარე ხაზზე, ალბათ, შემოუყვებოდა ქონავურები.

ურბნისის გამაგრების სისტემა პირველადი სახით მალაზარისსოვან ფორტიფიკაციულ ნაგებობას წარმოადგენდა. განსაკუთრებით ბუმბერაზული სანახაობა იქნებოდა გარედან: 6-7 მეტრის სიმაღლის კედლები გამაგრებული იყო სიმეტრიულად განლაგებული ნახევარცილინდრული ფორმის კომპლექსით.

რამდენიმე ხნის შემდეგ (საფიქრებელია V საუკუნეში), ურბნისის მცხოვრებთ ცუდი დღე დასდგომიათ. ძლიერი მტერს ქალაქი აუღია და ძირფესვიანად ამოუბუვავს. როგორც კომპლექსში, ისე ყველგან ნაქალაქარის ტერიტორიაზე ვხვდებით ძლიერი ცეცხლის კვალს. ბევრგან იქნა აღმოჩენილი ნაცარტუტად ქცეული, დანახიერებული სახლების სქელი ფენა. მტრის მიერ ნასროლი ისრის წვერები კომპლექსის გარე კედლებში აღმოჩნდა ჩასომილი. ასეთივე ისრის წვერები შიგაც იქნა ნაპოვნი. იქვე ნაპოვნი ნივთებიდან გამოირჩევა ანტიკური პერიოდის ბულა. დასავლეთ-




ვიკინანტიკური პერიოდის მინის ჭურჭული

თით ზღუდესთან ახლოს მდგარი ბეღელი ხანძრის დროს დაქცეულა და შიგ მდებარე ხორბალი დამწვარა. ეს დამწვარი ხორბალი თითქმის ნახევარი მეტრის სიმაღლის ფენას ქმნის.

იქვე ახლოს, როგორც ეტყობა, ხანძრით შეშინებულ მცხოვრებთ საოჯახო ნივთები მიწაში ჩაუფლავთ იმ განზარაბებით, რომ თუ მტერს გადაურჩებოდნენ, მოვიდოდნენ და ამოიღებდნენ, მაგრამ იმედ არ გაუმართლდათ: გადა-

აღრანტიკური პერიოდის ოქროს საკინძი





ადრეფეოდალური პერიოდის მარანი

მაღული ნივთები მხოლოდ რამდენიმე ასეული წლის შემდეგ ამოვიტანეთ შვის სინათლეზე. ვადაწახულ ნივთებში ერთმანეთზე ეწყობო: ორი სპილენძის ქვაბი, სხვადასხვა ზომის ორი მოვერცხლილი თასი, სახელურიანი რკინის თასი და რკინის მამა. ადრე ფეოდალური ხანის ასეთი ნივთები ჩვენს ტერიტორიაზე ამოვღებდა იქნა აღმოჩენილი.

იმდროინდელი საცხოვრებელი, სამეურნეო თუ დამხმარე სახის ნაგებობებიდან გამოირჩევა აბანოს კაპიტალური შენობა. იგი დასავლეთით, ზღუდესთან ახლოს მდგარა. აბანო სამნაწილიან დიდ ნაგებობას წარმოადგენდა. სამეურნეო ხასიათის ასეთი მასშტაბის ნაგებობა იშვიათია იმ ხანისათვის. სამწუხაროდ, იგი ისეა დანგრეული, რომ ყველა დეტალის აღდგენა არ ხერხდება, მაგრამ ამკარად დეტალა გამოცდილი ზურთომოდვრის ხელი. კონსტრუქციული მხარეებიდან საინტერესოა პირველი საუკუნეებისათვის ახალი ხერხის — კამარებისა და თაღების მარჯვნივ გამოყენება. მშენებლობის ისტორიის დასადაგენად იგივე შეიძლება ითქვას ალიზის კოშკებზე. მათი მშენებლები სრულიად თავისუფლად იყენებენ თაღებსა და კამარებს.

მიუხედავად მტრის მიერ მიყენებული ასეთი ძლიერი დარტყმისა, მტრის ქალაქი საბოლოოდ წელში ვერ გაუწყვეტია, იგი მალე აღმდგარა. აღორძინებული ქალაქის შესვეურებას სანახევროდ დამწვარი და განადგურებული ალიზის ზღუდის აღდგენა მიზანშეწონილად არ მიუჩნევიოთ. ძლიერი მტრის გარემოცვის შემთხვევაში ალიზის ზღუდეს თავდაცვის ეფექტური სამსახური ვერ გაუწყვია. ამიტომ კარდინალურად შეუცვლიათ თავდაცვის სისტემა.

რკალური ზღუდის ირვკვლი 40-50 მეტრის სივანისა (ზოგან თხრილის სივანე 100 მ. აღწევს) და 8-10 მეტრის სიღრმის თხრილი შემოუვლიათ. ამ თხრილიდან ამოღებულ იმიწა დაუყრიათ კოშკივან ზღუდეზე და მთელი რკალი მიწყარბილ-ბეჭობად უქცევიათ. ამგვარად, დაცვის ახალი სისტემა შედგებოდა ღრმა, განიერი თხრილისა და მაღალი მიწყარბილისაგან. ასეთი სიმაგრის ვადალახვა მტრის გაუჭირდებოდა.

ფერფლად ქვეული ქალაქი მტრის ვანდევნის შემდეგ სწრაფად ამდგარა ფეხზე. ვადამწვარი ნიადაგზე ხელახლა აუვიათ სასოფრებელი და სამეურნეო შენობები. ამ დროს იმ მანახლობა მეტად მჭიდროდ ჩანს. მცხოვრებთა დაბალი ფენა (ხელოსნები და სხვები) აგებდა ალიზის სახლებს. სახლების ერთ ნაწილს მანური ვადალახვა ჰქონდა, ხოლო დანარჩენს — კრამიტის ქანობიანი საფარავი.

აღორძინებული ქალაქის ცენტრში აუვიათ საკათედრო ტაძარი. ეს საეპისკოპოსო საყდარი მიეკუთვნება დიდი ზომის იმ სამნავიან ბაზილიკათა ტიპს, რომელიც V საუკუნის ბოლოს შეიქმნა და რომელსაც ეკუთვნის ბოლნისის დიდებელი სიონი, თბილისის ანისხატი, ურბნისი და სხვა ძეგლები.

ურბნისის ეკლესიის კედელზე შემორჩენილმა წარწერამ შემოვინახა მშენებელთა სახელები, მაგრამ, სამწუხაროდ, მათი ვინაობა ისტორიას არ შემორჩენია. წარწერაში ვკითხულობთ: „უფალო იესუ ქრისტე კონსტანტი, მამა მიქელ ყიყყალავი ათი სიონისა მამყევიელი“. ეს წარწერა ვანსაკუთრებით საინტერესოა, როგორც ქართული დამწერლობის ერთ-ერთი პირველი ეპიგრაფიკული ძეგლი³.

ვაკრობა-ხელოსნობათან ერთად იმ დროის ურბნისი ძლიერი მეურნეობა ჰქონია. სხვა ნიშნებთან ერთად ამას მოწივბის მარნები. მიუხედავად იმისა, რომ საუკუნეების ვანსავლობაში ნადგურდებოდა ნაქალაქარის ნაშთები, ჩვენ მაინც მივაკვლიეთ 12 მარანს და ასზე მეტ ქვევარს. მათ შორის მარნებს ორ ათეულზე მეტი დიდი და პატარა ქვევრით, ქვევრები მაღალი ხარისხისა, მათზე უფრო მაღალხარისხიანი ნახელავია იქვე ნაპოვნი საღვინე კერამიკული ჭურჭელი.

ურბნისის მიდამოებში მევენახეობის, მებაღეობის, მეზოსტნეობის და საერთოდ სოფლის მეურნეობის განვითარების საწინდარი აუცილებლად ლიხახვიდან გამოყვანილი სარწყავი არხი იქნებოდა. ურბნისი, და საერთოდ ეს მხარე ახლაც უწყელია და დღესაც მხოლოდ და მხოლოდ ლიხახვის წყლით ნაყოფიერდება. ანტიკურ პერიოდში ურბნელებს უდიდესი მუშაობა გაუწყვიათ და ლიხახვიდან გამოყვანილი წყლით ნახევრად ხრიკი მხარე აუყვავებიათ. თუთუთეობივ კილომეტრის სიგრძის არხი იწყება მდ. ლიხახვის მარჯვენა სანაირს, დღევანდელი სოფლის — შინდისის მიდამოებში. ეს არხი, რომელიც დღესაც მოქმედებს, წარმოადგენს საუკეთესო ინჟინრულ ნაგებობას. დიდი ინჟინრული ცოდნის გამოყენებასთან ერთად მასზე კოლოსალური ენერჯია დახარჯულია. ვანსაკუთრებით ვანსაკვივრებელია არხის ხაზზე დაბლობზე ვამავალი რუსხმული. ასეთი დიდი სამუშაოების წარმოება ანტიკურ პერიოდში მხოლოდ მოწონი შრომის გამოყენებით შეიძლებოდა. არხის შტოები შედიოდა ქალაქშიც. ჩვენს მიერ მიკვლეულ ურბნისში ორი ასეთი შტო. ალიზის ზღუდის ქვეშ, ნიადაგის დონეზე, კირის დედასზე თლილი ქვით ნაგები გვირაბი დაუყოლებიათ. თუ მხედველობაში მივიღებთ ქალაქის რელიეფს, ასეთი არხი სამზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო. სამეურნეო საჭიროებასათვის ლიხახვის წყალს იყენებდნენ, მაგრამ საჭირო იქნებოდა სასმელი წყლის შემოყვანაც, რადგან ქალაქის ტერიტორიაზე ვამოშავალი წყლები მლაშეა. კაპიტალურად ნაგები, ორმაგი კერამიკული მილებიანი წყლხაღენის ფარამენტი ნაპოვნია ქალაქის ჩრდილო-აღმოსავლეთის მონაკვეთში.

არაბების შემოსევის პირველ ტალღებს, როგორც ეტყობა, ურბნისმა გაუძლო, მაგრამ VIII ს. ოცდაათიანი წლებში სარდლის — მურვან ბენ-მამპადის მიერ მიყენებული ვამანადგურებელი დარტყმა საბედისწერი გამოდ-

3 ნ. შოშიაშვილი, ურბნისი — საქართველოს უძველესი ქალაქი, ცისკარი, 1958 წ. № 4, გვ. 137.

გა ქალაქისათვის. ისტორიკოსი ვახუშტი ბაგრატიონი წერა, რომ ურბნისი იყო ქალაქი ყრუადად⁴. ოურვანმა საქართველოში მრავალი სოფელი და ქალაქი, მათ შორის, ურბნისიც გაახვია ცეცხლის აღში. როგორც ცნობილია, ამ სარდალს ხალხმა გულქვაობისა და სისასტიკის გამო „მურვან-ყრუ“ შეარქვა. ამ პერიოდთან ურბნისის ქალაქობაზე არც წერილობითი წყაროები გვამცნობენ რამეს, არც გათხრები ადასტურებს ქალაქის შემდგომ არსებობას. როგორც ჩანს, უკვე მოისპო პირობები იმისათვის, რომ ურბნისს, როგორც ქალაქს განეგრძო არსებობა. სხვა ქალაქებზე არაერთხელ გადაუწვევით და გაუნადგურებიათ, მაგრამ ზოგი მათგანი ისევ აღმდგარა. რადგანაც ამის საჭიროება მოითხოვდა. სხვა ქალაქებს რომ თავი დავანებოთ თვით ურბნისსა რამდენიმე საუკუნით ადრე განიცადა გადაწვევა და აღორძინებაც. მალე გაერთიანებისაკენ მიმავალი აღმოსავლეთი საქართველოს ცენტრი ხდება ქალაქი უფლისციხე, რომელიც ურბნისიდან აღმოსავლეთით ოცი-ოდე კილომეტრზე მდებარეობს.

მართალია, ურბნისმა, როგორც ქალაქმა, არსებობა შესწყვიტა, მაგრამ ამ ადგილზე ცხოვრება საბოლოოდ მანაც არ ჩამქალა. ურბნისის საეპისკოპოსო კათედრა ისევ განაგრძობდა არსებობას და როგორც ცნობილია, XI-XII საუკუნეთა მიჯნაზე მან საკმაოდ დიდი როლიც შეასრულა (გავიხსენოთ თუნდაც 1103 წლის რუს-ურბნისის საეკლესიო კრება). მცირეოდენი მოსახლეობა დამკვიდრებულია ტაძრის ახლოს და აღმოსავლეთის მონაკვეთზე, ხოლო დასავლეთ ნაწილში, VIII საუკუნის შემდეგ, არაფერი დასახლებულია. სწორედ ამიტომაც ამ ადგილებმა არქეოლოგებს ქალაქობის პერიოდის ურბნისზე ყველაზე მეტი მასალა შემოუნახეს, ხოლო იმის გამო, რომ დასახლებულ ტერიტორიაზე მცხოვრებლები საუკუნეების მანძილზე მიწას ამოშაებდნენ, ძველი ქალაქის ნაშთები განადგურდნენ. ამ მონაკვეთზე მცირე რაოდენობით ყველგან გვხვდება სოფელელა განუწყვეტელი ცხოვრების კვალი, სახელდობრ განვითარებული ფეოდალიზმის ხანის მოქიქული კერამიკა, ზოგჯერ, იშვიათი გემოვნებით მოხატული ტურქული.

ქალაქობის შემდეგ ურბნისის ბაზილიკას მრავალი ნგრევა და გადაკეთება განუცდია, მაგრამ ჩვენამდე ბაზილიკამ ძირითადად მაინც მოაღწია. საფიქრებელია, რომ ბურვანის შემოსევის დროს დაზიანდა ტაძარიც, რადგან კვლევის კვლევებზე შემონახული X ს. ორი წარწერიდან იცვებთ, რომ ძალზე დარღვეული ნაგებობა თითქმის ხელახლა აუშენებია ეპისკოპოს თეოდორე ლუკას-ძეს. მისთვის დახმარება გაუწევიათ კონსტანტინე მიქელის-ძეს და ვინმე ქავთარსა და შუმანს (ალბათ, ადგილობრივი ფე-



არწივის ვაშისახლეუბა გვიანტაქური პერიოდის გემეზაზე

ოდალები იყვნენ). ეკლესიას შემდეგშიც განუცდია ცვლილებები, განსაკუთრებით დაზიანებულია იგი XVII საუკუნეში (ალბათ, შაჰ-აბასის შემოსევის დროს).

როგორც ერთ-ერთი ვრცელი წარწერა გვამცნობს, ტაძრის აღდგენაზე დიდი შრომა გაუწევია 1668 წელს ვახტანგ V-ს მეუღლეს მარიამს.

ტაძრის ძველი დარღვეული ანსამბლი XVIII ს. დასაწყისში ისევ აღუდგენიათ და გაუმდიდრებიათ. ამ საქმიანობის ნეგრეტიულად ხელი მიუყვია ვახტანგ VI. მისი დაკვეთით შესრულებული წარწერიდან იცვებთ, რომ ვახტანგს აქ აუჯია სამრეკლო, ვალავანი პალატით და სხვ. ვახტანგის ნაგებობათაგან მხოლოდ სამრეკლო გადაურჩა ოსმალთა და სპარსთა თარეშს იმავე საუკუნის 20-იან და 30-იან წლებში. სამრეკლო სტილისტიკურად ახლოს დგას XVII საუკუნის მეორე ნახევარში და მომდევნო საუკუნის პერველ ნახევარში აგებულ ისეთ სამრეკლოებთან, როგორიც არის თბილისის ანჩისხატის, ანანურის, ქვემო ჭალის და სხვა ტაძრების სამრეკლოები. 1738 წელს ეპისკოპოს ნიკოლოზ ხერხეულიძეს ხელახლა აუჯია ტაძრის ვალავანი. ამ ვალავანის კვალი აღმოჩნდა წელს გათხრებისას. შემდეგში ეს ნაგებობებიც დანგრეულა და ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ გადაკეთებულმა ეკლესიამ და სამრეკლომ.

მალე ამ ეკლესიაში გამოფენილი იქნება ურბნისში განათხარის მასალა, რასაც, ვფიქრობთ, ინტერესით გაეცნობიან, როგორც ადგილობრივი, ისე ჩამოსული სატყეო-ლიანტები.

როგორც ამ მოკლე ცნობიდანაც ჩანს, ურბნისის გათხრებმაც ბევრი რამ მოგვცა ჩვენი წარსულის ასაგეტყველელად და გასაგებად.

⁴ ვახუშტი ბაგრატიონი, დს. შრომა, გვ. 78.



უცხოელები საბჭოთა საქართველოს შესახებ

გ. შვარცმანი



მალესი ქედების, ზღვების, ოკეანეების გადღმა ქვეყნებიდან განუწყვეტელ ნაკადად მოდიან საბჭოთა კავშირში უცხოელი ადამურები. ბევრი მათგანი ჩამოდის საქართველოშიც. მეტად ვრცელია გეოგრაფია ქვეყნებისა, რომელთა წარმომადგენლებმა უკანასკნელ ხანებში ინახულეს ჩვენი რესპუბლიკა.

შარშან, მაგალითად, საქართველომ ჩვეული სტუმართმოყვარეობით მიიღო 230 დელეგაცია და 4 ათასზე მეტი უცხოელი ტურისტი.

საზღვარგარეთიდან ჩამოსულ ჩვენს მეგობრებს გულწრფელად ახარებს საბჭოთა ქვეყნის — კომუნისმის მშენებელი, მშვიდობისა და ხალხთა მეგობრობისთვის ბრძოლის ავანგარდში მდგარი საბჭოთა კავშირის ჯიან-ღირსული მიღწევები. მეტად ვრცელია და გულითადაა საქართველოს, ქართველი ხალხის მიღწევების შესახებ მათ მიერ სხვადასხვა ენაზე გამოთქმული აზრები, შეხედულებები, შთაბეჭდილებები, მთავარი, რაც ყოველ მათ ნათქვამში გამოისკვივის, — ეს არის გულწრფელი სიხარული იმ დიად გარდაქმნათა გამო, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების წლებში განიცადა მიუხედავად ჩვენმა სამშობლომ და აქროლდ საქართველომ.

ამ სტიქიონების აფეთქის ხშირად ჩამოვდა შეხვედრა და საუბარი საქართველოში სტუმრად ჩამოსულ უცხოელებთან. ინტერესს არ იქნება მოკლებული გვატყნო ყურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ მკითხველებს ჩვენი რესპუბლიკის ხილვით აღძრული მათი შთაბეჭდილებები, გრძობიბები, აზრები.

ახალი ჩინეთის გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე-მწერალმა და ისტორიკოსმა გო მო-ჯომ, შეეხო რა ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა მონაპოვარს, თქვა:

— საქართველოს მაგალითი გვიჩვენებს, რომ დიდმა ოქტომბერმა დაამხვრია რა კლასობრივი და ეროვნული ჩაგვრის საუკუნოებრივი ბორკილები, საბჭოთა ქვეყნის ხალხების წინაშე გადაშალა კონომიური და კულტურული განვითარების უსაზღვრო შესაძლებლობანი.

მეორე ჩინელმა მწერალმა ხან შან-იმ განაცხადა: — ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის მისი ქვეშ აყვავდა და გაიფურჩქნა ქართველი ხალხის ცხოვრება. მის მუშუძლია იამაყოს საბჭოთა ხალხების ძმურ ოჯახში კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მოპოვებული თავისი გამარჯვებებით.

ხან შან-იმ ილაპარაკა იმ ცხოველ ინტერესზე, რომელსაც ჩინელები იჩენენ საქართველოს და ქართველი ხალხის ცხოვრებისადმი. ჩინელი მშრომელები თავიანთ დედაენაზე კითხულობენ რუსთაველის უკვდავ პოემას „ვეფხისტყაოსანს“. ისინი უკვე იცნობენ ქართველი ხალხის უძველეს მდიდარ კულტურას.

— ჩვენი მეგობრობა ჯერ კიდევ ძველი დროიდან მომდინარეობს, — განაგრძო ხან შან-იმ, — მას ჯერ კი-

დეც შოთა რუსთაველმა უმღერა. ჩვენს ეპოქაში ჩინეთის და საბჭოთა ქვეყნის ხალხები შემტკიცებული არიან ახალმადლისო ურღვევი ძმობითა და მეგობრობით.

ამ ჩინელი მწერლის ნათქვამს ეხმაურება სიტყვები სახალხო წარმომადგენლების სრ. ჩინეთის კრების დეპუტატისა, ბეიკინის უნივერსიტეტის პროფესორის ცაო ძინ-ხუასი, რომელიც ამას წინათ ესტუმრა ჩვენს რესპუბლიკას.

ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობას, — განაცხადა მან, — ღრმად აქვს გამჟღავნარი ფესვები მშრომელთა გულში. დედაენაზე არ არსებობს ძალა, რომელსაც შეეძლოს მათი გათიშვა. მჭიდრო და განუწყვეტელი მეგობრობით ურთიერთად დაკავშირებულნი ჩინელი და საბჭოთა ხალხები ხელისხელ ჩაიკედებულნი მიდიან წინ საერთო მიზნისაკენ — კომუნისტური საზოგადოებისაკენ.

სამშობლოში დაბრუნებისას ბევრ უცხოელ სტუმარს თავის წმინდა მოვალეობად მიაჩნია თანამემამულეებს გაუზიაროს საბჭოთა კავშირში მიღებული შთაბეჭდილებანი.

„სოციალისტური საქართველო“ — ასე ეწოდა ერთ განყოფილებაში ჩინეთში გამოცემულ წიგნში „მოგზაურობა საბჭოთა კავშირში“, სადაც თავმოყრილია ჩვენს ქვეყანაში ნაშრომი ჩინელების — ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების წევრების მოგონებანი. ამ განყოფილებაში ვრცლად არის დაშუქებული კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი რუსი და ყველა საბჭოთა ხალხის დახმარებით, მომპოვებული მიღწევები საქართველოს სახალხო მურწიეობის და ეროვნული კულტურის ყველა დარგში.

საბჭოთა კავშირში მოგზაურობის შემდეგ ცნობილმა ჩინელმა მწერალმა მაო ღუნმა გამოაქვეყნა ნარკვევების ორი წიგნი „წერილები სსრ კავშირის შესახებ“ და „საბჭოთა კავშირში“, სადაც ბევრი რამ არის ნაამბობი საბჭოთა საქართველოზე, საბჭოთა ხელისუფლების წლებში ჩვენს რესპუბლიკაში მომხდარი გარდაქმნებზე.

ამაღლელებელი განცდით არის დაწერილი პოლონელი მწერლის მირან ბელიციის მოგონებები საქართველოზე. — რუსთავმა, — წერს იგი, — ახალი გუნა მომაგონა. ისინი ხომ ძმა ქალაქები არიან, ხალხის საუკეთესო შეილების გმირული შრომით აუგებულნი. რუსთავსა და გულტაში ერთნაირი გული სცემს — ეს არის ძლიერი მეტალურგიული კომბინატი. რამდენადაც უფრო ძლიერად სცემს იგი, იმდენად უფრო მეტ ფოლადს იძლევა ორივე ქალაქი, მით უფრო ღამაში ხდება ორივე.

პოლონეთიდან ჩამოსულმა მეორე ჩვენმა სტუმარმა სტანისლავ იუნგმა განაცხადა: „საქართველოში ჩამოსულ ყოველ კაცს მუშუძლია დარწმუნდეს კომუნისტური პარტიის ღვინური ეროვნული პოლიტიკის შედეგად რესპუბლიკის მშრომელთა მიერ მოპოვებულ ბრწყინვალე მიღწევებში.



საქართველოს ჟურნალისტიკითან გამოშვებობებისას იურგმა თქვა: — მე აღმავფროვანა ქართველი მუშების თაღდადეგობა შრომამ. მე დიდი სიამოვნებად მიმანჩნა პოლიტელე მკითხველებს გაეკარა მათი ცხოვრება. ეს ამალეკებელი თემა ჟურნალისტიკისთვის.

საქ. სახალხო მეურნეობისა და კულტურის მშენებლობაში მოპოვებული დიდი პროგრესით აღტკვებული დარჩა ფრანგი ჟურნალისტი ჟილბერ ბლოკი, რომელმაც ჩვენს რესპუბლიკაში ერთი თვე გაატარა.

— ქართველმა ხალხმა, — აღნიშნა ჟ. ბლოკმა, — ტემპარადე გრანდიოზულ წარმატებას მიაღწია, რომელმაც შესცვალა საქართველოს სახე და უზრუნველყო მისი თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრება.

ჟ. ბლოკი მოხიბული დარჩა საქართველოს ქალაქების სილამაზით, ქართველი ხალხის უძველესი მდიდარი კულტურით, — მე შშირად მსმენია ქართველი ხალხის სტუმართმოყვარეობა, — გვითხრა ფრანკმა ჟურნალისტმა, — ამას პირადად მეც ვგრძობდი, როცა უზრალო ქართველ აღმამანებს ხვდებოდი. საბჭოთა აღმამანებს ძალბრბილში აქეთ გამეუდარი მოშობს და მეგობრობის გრანძობა.

ამერიკელმა მწერალმა, ჟურნალ „სეტერდი რევიუ“ ოვ ლიტერატურ — ის რედაქტორმა ნორმან ჯაზინსმა თბილისიდან გამეზავრების წინ განაცხადა:

— მე საქართველოში წილელ ხნით მომიხდა ყოფნა, მაგრამ ეს საკამო იყო, რომ ჩემში აღძრულიყო სურვილი — კვლავ ჩამოვიდე, უფრო ახლო და ყოველ მხრივ გავიცინო თქვენი ხალხის შრომა, მისი სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, ასევე მისი ლამაზი ბუნება. მართლაც, შემოვიარე რა საქართველოს სოფლები, მე მივხვდი, რატომ შთაავგნა საქართველომ ამდენი პოეტი-ლირიკოსი, რატომ არის ესოდენ ძლიერი აქ ხელოვნების ტრადიციები. — მე საშუალება მომეცა, — განაგრძო ნორმან ჯაზინსმა — მემოგზაურა შორის ქალაქს ვართ, მისგან 140 კილომეტრის დაშორებით. ერთი დამე კოლმეურნეობაში გავათეთ. ჩვენი მასპინძლების სტუმართმოყვარეობა იყო გულუხვი, გულითადად, მეტად თავზაიანი. მე ჩემი საკუთარი თვალთი ვნახე ქართველი გლეხების კეთილშობილება. ღრმა ინტერესით ვუსმენდი მათ ნაამბობს იმის შესახებ, თუ როგორ ავითარებდნენ მეურნეობას; მე გამაპოცა მათი უახლოესი მუშაობის გეგმებმა.

დასასრულად, ნორმან ჯაზინსმა გვითხრა: „საქართველოში, როგორც ყველგან მიოვლს საბჭოთა კავშირში, ხალხს სჯერა, რომ მსოფლიოში გამარჯვებს მშვიდობა.“

გულთბილი სიტყვები უძღვნა საქართველოს ინდოელმა ჟურნალისტმა ბ. რ. ვატემ. მან გაიხსენა სასურველების სიღრმიდან მომდინარე უძველესი კავშირ-ურთიერთობა ინდოეთისა და საქართველოს შორის და ყურადღება შეაჩერა ინდურ ენებსა და ქართულ ენაში დამკვიდრებულ საერთო სიტყვებზე. ინტერესს არ არის მოკლებული, რომ ისეთ ინდურ სიტყვებს, როგორც არის „პავა“, „პური“, „თამაჰკო“, „ქარხანა“, „ჭადრაკი“ და ბევრი სხვა, ქართულ ენაშიც იგივე მნიშვნელობა და ბგერაობა აქვს. — ჩვენმა პოეტებმა, — შენიშნა ინდოელმა სტუმარმა, — თავიანთ ბაღაღებში სამარადისოდ აღმეჭდეს ქართველი ხალხის სილამაზე და სტუმართმოყვა-

რობა. ამიტომ მე დიდი სიხარული და სიამოვნება გეგძენი, როცა ფეხი დავდგი ქართულ მიწაზე და შევხვდი ქართველ აღამამანებს.

ბ. რ. ვატემ ვრცელად გაევიზიარა თავისი შთაბეჭდილება. სხვათა შორის, მან გვითხრა: ჩვენ ვინახულეთ რუსთავის მეტალურგიული ქარხანა და მიგეყვება მისგან მშვენიერი შთაბეჭდილება. მოგეხსენება, რომ ჩვენში მიმდინარეობს ბზილას მეტალურგიული ქარხნის მშენებლობა. იგი რუსთავის ტბის იქვეა. მას აშენებენ საბჭოთა ინჟინრები, მათ შორის, ქართველი სპეციალისტები. ამიტომ რუსთავის ქარხნის სახით ჩვენ დავინახეთ ჩვენი ქვეყნის მომავალი. ჩვენი მეტალურგიული ქარხანა, რომელიც საბჭოთა კავშირის დახმარებით და ხელშეწყობით შენდება, არის სხვადასხვა კონომიური სისტემის მქონე ორი ქვეყნის მშვიდობიანი თანაშრომლობის მკაფიო მაგალითი.

